ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

ხარისხის განვითარების წლიური ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის,

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის

წლიური ანგარიში

2019-2020 აკადემიური წელი

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

სარჩევი

თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები 4

თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები 6

თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება 7

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება 7

3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ. 7

3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ. 8

3.1.3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების/ავტორიზებულ რეჟიმში განხოციელების შეფასება. 9

3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. 10

3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით. 11

3.1.6. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით. 12

3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება 13

3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით. 13

3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება აკადემიური საქმიანობის მიხედვით. 24

3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. 27

3.3. სასწავლო პროცესის შეფასება 31

3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდლოგია. 31

3.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება კმაყოფილების კვლევების გზით 33

3.3.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგამოცდო პროცესების შეფასება.. 36

თავი 4. კვლევა 37

4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება. 37

4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით. 38

4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ. 40

თავი 5. მართვის პროცესები 43

თავი 6. ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები. 50

თავი 7. შეფასების შედეგების გამოყენება 55

თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად ღირებულებებს, მიდგომებსა და პრინციპებს ევროპის უნივერსიტეტში განსაზღვრავს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“. პოლიტიკის თანახმად, ხარისხის მართვა ევროპის უნივერსიტეტის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობაა. საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგელობისგან და ეთიკური ქცევისგან.

ევროპის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულელები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს პრინციპით: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე. აღნიშნული პრინციპის დაცვით სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საშუალებით.

უნივერსიტეტში შემუშვებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან/თანამდებობის პირთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“, რომელიც აჯამებს ხარისხის შიდა და გარე შეფასების პროცესებს, აღწერს თუ რა დამატებით დოკუმენტაციას ეყრდნობა იგი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, ასევე, აღწერს თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება შეფასების პროცესი და თუ როგორ ხდება შეფასების შედეგების გამოყენება, პროცესებისა და მიღებული შედეგების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის პროცესში დამატებით ეყრდნობა უნივერსიტეტში მოქმედ შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი დ აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი;
- პერსონალის შერჩვის წესი;
- სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა;
- კმაყოფილების კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო;
- საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების წესი;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;
- კვლევის დაფინანსების წესი;
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- უნივერსიტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა.

თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები ითვალისწინებს:

ა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ავტორიზაციის, აკრედიტაციის და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ / იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს / გასაუმჯობესებელ ასპექტებს;

ბ) საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგად გამოვლენილ/ იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს/გასაუმჯობესებელ ასპექტებს;

გ) ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ გამოვლენილ/იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს/ გასაუმჯობესებელ ასპექტებს;

დ) პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების და სხვა გარე შემფასებლების მიერ გამოვლენილ / იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს / გასაუმჯობესებელ ასპექტებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს მოიცავს და სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

ა) სწავლა-სწავლება და მომსახურება - საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასება;

ბ) კვლევა - კვლევითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება და ანალიზი;

გ) მართვის პროცესი - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება.



ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები 2018-2019 აკადემიურ წელს განახლდა და მიმდინარე პერიოდში ხორციელდება განახლებული მექანიზმების დანერგვა.

თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ერთ-ერთი მიმართულება, სწავლა-სწავლება და მომსახურება სამ ძირითად ასპექტს გულისხმობს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება

გ) სასწავლო პროცესის შეფასება

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, გამოკითხვის შედეგები), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევა და შეფასება, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, ექსტრაკურიკულურ აქტივობებში მონაწილეობის შეფასება,

პროგრამის განხროციელებისთვის საჭირო მატერილურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსის შეფასება. მიღებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული ანგარიშის სახით. ამავე ანგარიშში პროგრამის ხელმძღვანელი აღწერს მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განვითარებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით განხორციელებულ აქტივობებს, როგორიცაა, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, პეროსნალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და ა.შ. 2019-2020 აკადემიურ წელს აღნიშნული შეფასება ევროპის უნივერსიტეტში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე. შეფასების მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამების განახლებისა და განვითარების მიზნით. შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია აღწერილია პროგრამის წლიური შეფასების ანგარიშში, რომელიც ანგარიშგებისა და შეფასებისთვის გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (დეტალებისთვის იხ. დანრთი #1 - საგანმანათლებლო პროგრამების წლიური შეფასების ანგარიშები).

3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების (ზედა კურსის სტუდენტების), კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. დაინტერესებული მხარეები აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, პროგრამის სასწავლო გეგმას, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსებს, ასევე, სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების მოცულობას. ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას SurveyMonkey. დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის, მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გამოყენებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის კომიტეტებთან ერთად განიხილავენ გამოკითხვის შედეგებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს, მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ცვლილებების საჭიროების შესახებ. შეფასების მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგად გამოყოფილი საყურადღებო საკითხების შესახებ ინფორმაცია, ასევე, ანალიზის საფუძვლეზე პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორომაცია პროგრამის

ხელმძღვანელების მიერ ანგარიშის სახით ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. 2019-2020 აკადემიურ წელს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ მათი გამოკითხვის გზით, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით.

სადემონსტრაციოდ წარმოგიდგენთ მასწავლებლის მომზადების საგნმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ 2019-2020 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასების ნაწილს:

Q12 გთხოვთ, ხუთბალიანი შკალით შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამა, რომელიც დაასრულეთ

Answered: 6 Skipped: 0



	5	4	3	2	1	TOTAL	WEIGHTED AVERAGE
(no label)	66.67% 4	33.33% 2	0.00% 0	0.00% 0	0.00% 0	6	4.67

გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და გამოყენებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განვითარების მიზნით. მიღებულ შედეგებზე რეაგირებისა და შედეგების გამოყენების შესახებ ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შეფასებისთვის (დეტალებისთვის იხ. დანართი #2 - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

3.1.3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების/ავტორიზებულ რეჟიმში განხოციელების შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ იმ შემთხვევაშიც, როცა გამოიკვეთება პროგრამის გაუქმების ან ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელების საჭიროება, პროგრამის მოთხოვნადობის ან პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განმეორებით შეფასების საფუძველზე. ამ პროცესში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მზადდება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება ანგარიში, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია პროგრამის გაუქმების /

ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელების საფუძველის, ასევე, პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლების (პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის, სტუდენტების შესახებ), პროგრამაზე სტუდენტების შემოდინება-გადინების შესახებ. ანგარიში დეტალურად აღწერს პროგრამის გაუქმების / ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელების საფუძველს და ასაბუთებს აღნიშნული შესაძლო გადაწყვეტილების მნიშვნელობასა და საჭიროებას. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის შესაძლებლობების და სტუდენტთა ინფორმირების გზებისა და საშუალებების შესახებ. ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება განიხილება მმართველ საბჭოზე პროგრამის გაუქმების / ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. უნივერსიტეტი ინარჩუნებს, აფასებს და ავითარებს საგანმანათლებლო პროგრამას, სანამ პროგრამაზე ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები და იღებს გაუქმების საბოლოო გადაწყვეტილებს, მხოლოდ მას შემდეგ რაც პროგრამაზე აღარ ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე არცერთი სტუდენტი. 2019-2020 აკადემიურ წელს აღნიშნული წესის დაცვით გაუქმდა სამი საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ, კომპიუტერული სისტემების და ქსელების საბაკალავრო, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამები. პროგრამები მიმდინარე წელს დაასრულა ყველა აქტიური სტატუსის მქონე ყველა სტუდენტმა. აღნიშნული პროგრამების ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელების/სამართლის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2018-2019 აკადემიურ წელს, რის შესახებაც ეცნობა ყველა აქტიური სტატუსის მქონე თუ სტატუსშეჩერებულ სტუდენტს. სტატუსშჩერებულ სტუდენტებს კიდევ ერთხელ მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამების გაუქმების შესახებ და მოხდა მათი ინფორმირება სწავლის გაგრძელების შემდგომი შესაძლებლობების შესახებ (დეტალებისთვის იხ. დანართი #3 - პროგრამის გაუქმების/ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელების დასაბუთების ანგარიშები).

3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სწავლის შედეგების შეფასების (აკადემიური მოსწრების ანალიზის), დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამების შეფასების, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შეფასების შედეგების საფუძველზე, პროგრამების ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განახლებული ვერსიები ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მზადდება დასკვნა თითეული განახლებული პროგრამის

აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. დასკვნა წარედგინება მმართველ საბჭოს პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების მიზნით. აღნიშნული დასკვნა 2019-2020 აკადემიურ წელს მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამებში ნებისმიერი ცვლილების ინიცირებისა და დამტკიცების შემთხვევაში.

3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით. აღნიშნულ პროცესში გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

ა) პირდაპირი მეთოდებით შეფასების მიზნით კეთდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად, ანალიზის შედეგად იკვეთება საყურადღებო საკითხები. აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვება ხორციელდება დინამიკაში, კერძოდ, ხორციელდება ბოლო სამი წლის შედეგებზე დაკვირვება, რაც ხელს უწყობს რეალურად საყურადღებო საკითხების გამოყოფას და გამორიცხავს ძლიერი და სუსტი ჯგუფების შემთხვევაში მიღებულ შედეგებს. ანალიზის შედეგები და გამოვლენილი საყურადღებო საკითხები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს რეაგირებისთვის, კერძოდ, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცვლილებების განხორციელების მიზნით. რეაგირება შესაძლებელია გულისხმობდეს, სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას, სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდლოგიის შეცვლას, გამოყენებული ლიტერატურის განახლებას და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების ანგარიშები (დეტალებისთვის იხ. დანართი #4 - აკადემიური მოსწრების შესახებ ანალიზი პროგრამების მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელების ანგარიში ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ). სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდად უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე განსაზღვრავს შეფასების უფრო კომპლექსურ მეთოდსაც, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების ჩაშლას შეფასების ინდიკატორებად და ინდიკატორების შეფასებას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების უფრო სიღრმისეულ შესწავლას და მიზეზების კვლევას. ინდიკატორების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში და შედეგების ვალიდურობის მიზნით

(ვალიდური შედეგები შესაძლებელია მივიღოთ განახლებული პროგრამებით გარკვეული პერიოდით სწავლის შემდეგ) დაგეგმილია მათი განხორციელება 2020-2021 აკადემიური წლიდან.

ბ) სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების ფარგლებში გამოიყენება პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. აღნიშნულ პროცესში დამსაქმებლები, იმ შემთხვევაში თუ მათთან დასაქმებულია ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან სტუდენტი, აფასებენ დასაქმებულთა ცოდნასა და უნარებს, ხოლო კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის დასრულების შედეგად მიღებულ საკუთარ ცოდნასა და უნარებს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების დონე და ხარისხი. გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა SurveyMonkey. მიღებული შედეგები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხდება მიღებული შედეგების პროგრამის კომიტეტის წევრებთან განხილვა, რეაგირების საჭიროების იდენტიფიცირება და დადგენა, საჭიროების დადგენის შემთხვევაში კი პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. პრგორამის ხაელმძღვანელების მიერ შედეგების ანალიზის გამოყენებისა და რეაგირების შესახებ ანგარიში წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანაგრიშგებისა და შეფასებისთვის. კრსდამთავრებულების მიერ საკუტარი ცდონისა და უნარების, ხოლო დამსაქმებლების მიერ კურსდამთავრებულების/სტუდენტების ცოდნისა და უნარების შეფასება 2019-2020 აკადემიერ წელს განხორციელედა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (დეტალებისთვის იხ. დაინტერესებული მხარეების, კურსდამთვარებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

3.1.6. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისითაც. უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური და მოწვეული პეროსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიხედვით დგინდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა და შესაბამისად, ფასდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის სათანადოობა. აღნიშნული მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემების გამოთხოვა პროგრამის ხელმძღვანელებისგან და შეფასება, თუ რამდენად არის დაცული მეთოდლოგიით

დადგენილი სამიზნე ნიშნულები. საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო რაოდენობით აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხი აღნიშნული პროცედურის მიხედვით შეფასდა 2019-2020 აკადემიურ წელსაც. შეფასების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მეთოდოლოგიით დადგენილი, სათანადო რაოდენობის აკადემიური პერსონალის ჩართულობა (იხ. დანართი #5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი).

3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ხდება სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პეროსონალის ჩართულობით, რამდენიმე მიმართულებით და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით. აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით. უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი. დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშის ფორმა. ფორმა განსაზღვრავს ყველა შესაძლო აქტივობას, რაც აკადემიურ პერსონალს შესაძლოა ჩაეთვალოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობად. ფორმა ამასთანავე განსაზღვრავს თითოეული აქტივობის ქულას. ფორმით განსაზღვრულ თითოეულ აქტივობას ზემოაღნიშნული წესის მიხედვით ენიჭება განსხვავებული ქულა. ქულის მოცულობა თავისთავად გამომდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის მნიშვნელობისა და ღირებულებისგან. შესაძლებელია აკადემიური პერსონალის მიერ ანგარიშის საშუალებით მოხდეს ისეთი აქტივობის წარმოდგენა, რომელიც არ არის ფორმით განსაზღვრული, თუმცა აკადემიური პერსონალის მიერ განიხილება როგორც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობად. აქტივობის შეფასება და დადასტურება ხდება კომისიური წესით. აკადემიური პერსონალი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, აღნიშნულ წლიურ ანგარიშს წარუდგენს ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. დოკუმენტი ადგენს მინიმალურ შესასრულებელ მოთხოვნებს (მინიმალურ ქულას) აფილირებული აკადემიური პერსონალისა (აფილირებული პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და აფილირებული ასისტენტი) და აკადემიური პერსონალისთვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი). აკადემიური პერსონალის მიერ წლის ბოლოს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის განხილვა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, რომელიც ადასტურებს აკადემიური პერსონალის მიერ

შესრულებულ სამეცნიერო აქტივობებს. კომისია განხილვის შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

აკადემიური პერსონალის ზემოაღნიშნული ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული შეფასების შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სამეცნიერო აქტივობის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისთვის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ერთი წლის გასვლის შემდეგ სამეცნიერო აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აფილირებულ აკადემიური პერსონალს ეძლევა გაფრთხილება.

აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება: აფილირებულ პროფესორს - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 2500 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტს - 1500 ლარის ოდენობით.

აკადემიური პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების (სადაც გარკვეული პროცენტული წილი ეთმობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს), რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი).

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. შეფასების შედეგების გამოყენება და შედეგებზე ზემოაღნიშნული რეაგირება უნივერსიტეტის მხრიდან განიხილება, როგორც აკადემიური პერსონალის სამცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მექანიზმი და ფინანსური მხარდაჭერის საშუალება.

ზემოაღნიშნული წესის მიხედვით ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროდუქტიულობის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში პირველად 2018-2019 აკადემიურ წელს განხორციელდა და იგეგმება განხორციელდეს ყოველწლიურად. 2018-2019 აკადემიურ წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში წარმოდგენილ იქნა ბიზნესისა და ტექნოლოგიების

ფაკულტეტის 21 აკადემიური პერსონალის მიერ, მედიცინის ფაკულტეტის 55 აკადემიური პერსონალის და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 25 აკადემიური პერსონალის მიერ. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების მხრივ მიღებულ იქნა შემდეგი შედეგი: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 21 აკადემიური პერსონალიდან მინიმალური მოთხოვნა დააკმაყოფილა 18 აკადემიურმა პერსონალმა, მედიცინის ფაკულტეტის 55 აკადემიური პერსონალიდან მინიმალური მოთხოვნა დააკმაყოფილა - 39 აკადემიურმა პერსონალმა, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 25 აკადემიური პერსონალიდან მინიმალური მოთხოვნა დააკმაყოფილა - 20 აკადემიურმა პერსონალმა.

აკადემიური პერსონალის 2018-2019 აკადმიური წლის შეფასების შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:



მიღებული შედეგების გაუმჯობესებისა და აკადემიური პერსონალის მოტივაციის გაზრდის, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში აკადემიური პერსონალის ხელშეწყობის მიზნით, ცვლილება განხორციელდა დოკუმენტში „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი“. წესით ცვლილების შედეგად განისაზღვრა შედეგების გამოყენების ზემოაღნიშნული ისეთ საკითხები როგორიცაა:

- აფილირებული პერსონალისთვის განკუთვნილი ანაზღაურების გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამცნიერო-კვლევითი საქმიანობით წესით დადგენილი მინიმალური მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული (თუმცა ეს არ გამორიცხავს ანაზღაურების მიღებას აკადემიური წლის განმავლობაში, გახორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის დაფინენსების მიზნით);

- აფილირების შეთანხმების შეწყვეტის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ სამცნიერო-კვლევითი საქმიანობით წესით დადგენილი მინიმალური მოთხოვნა ზედიზედ ორჯერ არ იქნა დაკმაყოფილებული;
- დაკონკრეტდა აკადემიური პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების (სადაც გარკვეული პროცენტული წილი ეთმობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს), რანჟირების საფუძველზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური პერსონალისთვის, წახალისების მიზნით, ფულადი ჯილდოს გადაცემის საკითხი, განისაზღვრა ჯილდოს მოცულობა თითოეული შემთხვევისთვის.

აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში კვლავ განხორციელდა 2019-2020 აკადემიური წლის ბოლოს (იხ. დანართი #6 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თანდართული წლიური ანგარიშები).

2019-2020 აკადემიური წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი შემდეგნაირად გამოიყურება:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიში წარმოდგენილ იქნა ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 17 აკადემიური პერსონალის მიერ, მედიცინის ფაკულტეტის 43 აკადემიური პერსონალის და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 17 აკადემიური პერსონალის მიერ.

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების მხრივ მიღებულ იქნა შემდეგი შედეგი: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 17 აკადემიური პერსონალიდან მინიმალური მოთხოვნა დააკმაყოფილა 13 აკადემიურმა პერსონალმა, მედიცინის ფაკულტეტის 43 აკადემიური პერსონალიდან მინიმალური მოთხოვნა დააკმაყოფილა 38 აკადემიურმა პერსონალმა, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 17 აკადემიური პერსონალიდან მინიმალური მოთხოვნა დააკმაყოფილა 17 აკადემიურმა პერსონალმა.

2019-2020 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთო რიცხვი შეადგენდა 174 -ს.

ფაკულტეტების მიხედვით აფილირებული აკადემიური პერსონალის პროცენტული განაწილება შემდეგნაირია:

სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალური მეც. ფაკულტეტი	47%
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი	30%

მედიცინის ფაკულტეტი	45%
უცხო ენა	33%

აკადემიური პერსონალის განაწილება ფაკულტეტების მიხედვით (სექტემბერი, 2020 წელი):



	სამართლის, ჰუმ. და სოც.	ბიზნ. და ეკონ.	მედიცინა	უცხო ენა
აკადემიური პერსონალი	34	30	104	6
აფილირებული	16	9	47	2
არააფილირებული	19	21	57	4

2019-2020 აკადემიურ წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში 78-მა აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა.

წარმოდგენილი ანგარიშები ფაკულტეტბის მიხედვით (დეკემბერი, 2020 წელი):



	სამ., ჰუმ. და სოც.	ბიზ. და ტექნ.	მედიცინა	უცხო ენა
წარმოადგინა	17	16	43	2
არ წარმოადგინა	17	14	61	4

ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშების პროცენტული განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალური მეც. ფაკულტეტი	50%
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი	53%
მედიცინის ფაკულტეტი	41%
უცხო ენა	33%

ფაკულტეტების მიხედვით აფილირებული პერსონალის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშები შემდეგნაირად განაწილდა.

აფილირებული პერსონალის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (დეკემბერი, 2020 წელი):



ფაკულტეტების მიხედვით აფილირებული პერსონალის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშების პროცენტული განაწილება შემდეგნაირია:

სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალური მეც. ფაკულტეტი	75 %
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი	67 %
მედიცინის ფაკულტეტი	55 %
უცხო ენა	100 %

2019-2020 აკადემიურ წელს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები ფაკულტეტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა	სამ. ჰუმ. და სოც.		ბიზ. და ტექნ.		მედიცინა		უცხო ენა		სულ
	აფილ.	არააფილ.	აფილ.	არააფილ.	აფილ.	არააფილ.	აფილ.	არააფილ.	
სტატიები იმპაქთ-ფაქტორიან ჟურნ.			3	2	12	7			24

სტატიები EU-ს და სხვა საერთ. ჟურნ.	6	5	2	7	29	4	6		59
პოსტერი საერთ. სამეც. კონფ.				1	27	15	2		45
მოხს. საერთ. სამეც. კონფ.	3	5	4	4	19	14	4		53
პოსტერი ადგ. სამეც. კონფ.	1	2	1	5	16	6			31
საერთ. ვორქ. სემ. ტრენ. ჩატარება	1		3		2	3			9
საგრანტო პროექტის ხელმძ.	3				3	4			10
დაფინ. საგრანტო პროექტში მონაწ.	3	4	6	1	18	2	1		35
საგრანტო კონკ. მონაწილეობა	3		1	1	7	1			13
გამოგონება/პატენტი					1	1			2
მონოგრაფია/სახელ. საზღვარგარეთ გამოშვება	1								1
მონოგრ./სახელმძ. გამოშვება	14	1	2	3		1	1		22
ეროვნული სამეც. აკად. წევრობა									
ეროვნ. სამეც. აკად. წევრ-კორესპონდენტობა									
საერთ. რეფერ. სამ. ჟურნ. რედაქტორობა (პუნქტი 1)					2				2
საერთ. რეფერ. სამ. ჟურნ. რეცენზენტობა, სარედაქციო					2				2

საბჭოს წევრობა (პუნქტი 1)									
სხვა სამეც. ჟურნ. რედაქტორობა	1		1	1	2	1			6
სხვა სამეც. ჟურნ. რეცენზ./სარედ. საბჭოს წევრობა	8	2	8	11	5				34
სახელ./მონოგ/ რეცენზირება	1	4	2	3			1		11
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება	4	2	2	1	2		1		12
სტუდ. კონფ. ნაშრომების ხელმძ. საზღვარგარეთ				3	4				7
სტუდ. კონფ. ნაშრომების ხელმძ. ადგილობრივი	4		3	6	10	2			25
სტუდ. მომზადება იმიტირებული / სიმულ. პროექტებისთვის			4	2	3	2			11

ზემოაღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანაზღაურებამ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის 2019-2020 აკადემიურ წელს შეადგინა 63 535 ლარი.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და ხელშეწყობის ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა უნივერისტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ:

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების/პოტენციალის შესწავლა, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების/პოტენციალის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია. კერძოდ, 534 აკადემიური და მოწვეული პერსონალის 2015-2020 წლებში შესრულებული სამეცნიერო-

კვლევითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის შესწავლა/დამუშავება და აღნიშნული ინფორმაციის ევროპის უნივერსიტეტის HRSOFT-ზე ატვირთვა.

2. ზემოაღნიშნული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შესწავლისა და შეფასების შედეგების მიხედვით მოხდა კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა და ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროგრამების და პოსტდოქტორანტურის ინდივიდუალური სტიპენდიების პროგრამების ბაზის შექმნა.

3. გამოკვეთილი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით მოხდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ელექტრონული ფოსტების ჯგუფების შექმნა, რომლის მეშვეობითაც მათ სისტემატიურად მიეწოდებათ ინფორმაცია გამოცხადებული კვლევითი კონკურსების და საერთაშორისო კონფერენციების შესახებ დარგების შესაბამისად.

გაზიარებული კვლევითი სტიპენდიების, კვლევითი საგრანტო პროგრამების და კონფერენციების სია:

- აშშ-ს მეცნიერებათა, ინჟინერიისა და მედიცინის ეროვნული აკადემიების კვლევითი სტიპენდიები პოსტდოქტორანტებისთვის

  (http://nrc58.nas.edu/RAPLab10/Opportunity/Search.aspx?SrchParams=SrchCtznLevel%3dC_03%26SrchLevel%3dLvl_*%252cLvl_M%252cLvl_D%252cLvl_R%252cLvl_S%26SrchKeywords%3d%26SrchAdvName%3d%26SrchPrograms%3d%26SrchLocations%3d&R=True)

- გეორგ ფორსტერის კვლევითი სტიპენდიები (Georg Forster Research Fellowship) (https://www.humboldt-foundation.de/en/apply/sponsorship-programmes/georg-forster-research-fellowship)

- 21-ე საერთაშორისო კომპიუტერული მეცნიერების კონფერენცია (ICCC 2021) (https://www.iccs-meeting.org/iccs2021/)

- ევრაზიის ბიზნესისა და ეკონომიკის საზოგადოების 35-ე საერთაშორისო კონფერენცია (35th EBES Conference) (https://www.ebesweb.org/Conferences/35th-EBES-Conference-Rome.aspx)

- ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) საგრანტო პროგრამები (https://erc.europa.eu/)

- კვლევითი ვიზიტი მაჩერატას უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში (იტალია) (http://giurisprudenza.unimc.it/en/research)

- DAAD-ის სასტიპენდიო პროგრამა "Research Stays for University Academics and Scientists" (https://www.daad-georgia.org/ka/daphinansebis-modzieba/sastipendio-

programebis/?type=a&origin=71&subjectgroup=0&q=0&status=2&page=0&onlydaad=0&language=en&id=0&pg=1&detail_to_show=50015456)

- Grants for Medical Education (https://www.grantsformedicaleducation.com)
- NBER-ის მცირე კვლევითი გრანტები (https://www.nber.org/call-small-grant-proposals-economics-digitization)
- იაპონიის მეცნიერების ხელშეწყობის საზოგადოების პროგრამა 2021 (JSPS International Fellowships for Research in Japan) (https://www.jsps.go.jp/english/e-ippan/index.html)
- AIAS-COFUND Fellowships - ორჰუსის მოწინავე კვლევების ინსტიტუტის სტიპენდიები (https://aias.au.dk/opportunities-at-aias/aiasfellowships/aias-cofund-fellowships/)
- Spencer Foundation (https://www.spencer.org/grant_types/small-research-grant)

4. განხორციელდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის და მეცნიერ-თანამშრომლების გამოკითხვა მათი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში რეგისტრაციის შესახებ. კითხვარი ჯამში 51 პერსონალმა შეავსო. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა შესაბამისი ინსტრუქციები/გზამკვლევები, რომლებიც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაზიარდა:

- რეგისტრაცია Google Scholar-ზე https://drive.google.com/file/d/19MxXeqd7ImQDTZVQtT0wS04cDOzbJ9uZ/view
- რეგისტრაცია ORCID-ზე https://drive.google.com/file/d/1JMPOUhD2eO4hZ8alRtG_HkkTJh2gfDqr/view
- რეგისტრაცია Research Gate-ზე

  https://drive.google.com/file/d/1yvbohaA41TKw6Az6SY-qLa4S_jKP3ldx/view
- რეგისტრაცია Publons-ზე

  https://drive.google.com/file/d/10258cfDHOAmY-Few_AFlrjLfefwqr1Mf/view

5. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის თანამშრომლობით, Coursera for Campus-თან მოლაპარაეკებების შედეგად მოხდა მათ პორტალზე არსებული თემატური სასერტიფიკატო კურსების შეთავაზება 2 თვის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებისთვის და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის, რაც ხელს უწყობს პერსონალის ცოდნის და გამოცდილების გაზრდას ინტერნაციონალიზაციის კუთხით. აღნიშნული თემატური კურსებით ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის 25-მა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ხოლო მეცნიერ-

თანამშრომლების შემთხვევაში, შეთავაზებული კურსებით ისარგებლა 14-მა მეცნიერ-თანამშრომელმა.

6. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და მეცნიერ-თანამშრომლებთან გაზიარდა სამეცნიერო ჟურნალების რეცენზენტებისთვის განკუთვნილი ონლაინ კურსების შესახებ ინფორმაცია:

- ELSEVIER RESEARCHER ACADEMY: https://researcheracademy.elsevier.com/navigating-peer-review/certified-peer-reviewer-course
- PUBLONS: https://publons.com/community/academy
- WILEY: https://authorservices.wiley.com/Reviewers/journal-reviewers/becoming-a-reviewer.html/peer-review-training.html
- NATURE MASTER CLASSES: https://masterclasses.nature.com/focus-on-peer-review-online-course/16605550
- WOLTERS KLUWER: https://wkauthorservices.editage.com/peer-reviewer-training-course/#knowmore

7. 2020 წლის 28 ნოემბერს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის და მეცნიერ-თანამშრომლებისთვის ჩატარდა ონლაინ ვორქშოფი თემაზე „კვლევითი საგრანტო პროექტების წერა“. ვორქშოფს უძღვებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქეთევან გურჩიანი. ვორქშოფზე აკადემიური და მოწვეული პერსონალი გაეცნო კვლევითი საგრანტო აპლიკაციის შევსების სპეციფიკას და საგრანტო კვლევითი პროექტის მომზადებასთან დაკავშირებულ ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა: საკვლევი თემის შერჩევა, კვლევის მიზანი, კვლევითი საპროექტო განაცხადის ზოგადი სტრუქტურა, აკადემიური ეთიკა და საერთაშორისო თანამშრომლობა. ვორქშოფს დაესწრო ევროპის უნივერსიტეტის 36 აკადემიური პერსონალი.

8. 2020 წლის დეკემბრის თვეში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის და მეცნიერ-თანამშრომლებისთვის ჩატარდა ონლაინ ვორქშოფების სერია თემაზე „კვლევა უნივერსიტეტში“. ტრენინგს უძღვებოდა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ლუარსაბიშვილი. ვორქშოპი მიზნად ისახავდა სხვადახვა დარგის აკადემიური პერსონალისთვის კვლევით უნარ-ჩვევების განვითარებას და არსებულის გაძლიერებას. ვორქშოპის მონაწილეები გაეცნენ თანამედროვე აკადემიური კვლევის ძირითად მეთოდებს. ვორქშოფების სერია 2 კვირა მიმდინარეობდა (2-12 დეკემბერი) და ჯამში 8 საათი ჩატარდა. ვორქშოფზე დამსტრეთა რაოდენობა შეადგენდა 34 აკადემიურ პერსონალს.

9. 2020 წლის 15 დეკემბერს ინოვაციური სწავლების ტრენინგ ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „სწავლების ინოვაციური მეთოდები და

ტექნოლოგიური მიღწევები უმაღლეს განათლებაში“. აღნიშნული კონფერენციისთვის შემუშავდა ვებ-გვერდი. კონფერენციაზე მთავარ მომხსენებლად და სამეცნიერო კომიტეტის წევრებად მოწვეულნი იყვნენ საერთაშორისო დონის ექსპერტები განათლების დარგში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ https://www.imttahe.ge/. კონფერენციის მონაწილეები წარმოადგენდნენ 6 ქვეყანას: საქართველო, ჩინეთი, მალაიზია, პორტუგალია, რუმინეთი და ინდოეთი. 25 მოხსენებიდან შეირჩა 14 მომხსენებელი.

10. უნივერსიტეტში ინერგება ინსტიტუციური რეპოზიტორი, რომელიც E-prints-ისა და Dspace-ის ინსტიტუციური რეპოზიტორების ანალოგიური ფუნქციებით არის აღჭურვილი. აღნიშნულ რეპოზიტორზე უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა ექნებათ შექმნან ინდივიდუალური იუზერები და საკუთარ გვერდზე ატვირთონ შრომები/სტატიები. ატვირთული შრომები იქნება ღია წვდომაში (ინტერნეტ სივრცეში მოიძებნება და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება გაეცნოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომებს). აღნიშნული რეპოზიტორი ატვირთული შრომების გაფილტვრის საშუალებას იძლევა წლის, ავტორის, სახელწოდებისა და დისციპლინის მიხედვით, რაც გაადვილებს კვლევითი საქმიანობის შეფასებას, პრიორიტეტების განსაზღვრას, წლების მიხედვით აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობაში ჩართულობის შეფასებას და ა.შ.

11. ცენტრი კონსულტაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს პლაგიატის შემოწმების მიზნით ელექტრონული პლატფორმის Turnitin-ის გამოყენების საკითხებზე.

3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება აკადემიური საქმიანობის მიხედვით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება მათი აკადემიური საქმიანობის მიხედვით, რაც გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტის, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. აღნიშნული ადმინისტრაციული პერსონალი აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მათთან თანამშრომლობის, აკადემიური პროცესის სათანადოდ წარმართვის საკითხებს წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, ხოლო სტუდენტები - ასევე წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, სასწვლო კურსის წარმართვის პროცესში ლექტორით კმაყოფილების საკითხს, მათ მიერ გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, ლექტორის მიერ ლექციის წარმართვის, ახსნის, ცოდნის გადაცემის უნარებს და ა.შ. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას (https://eunsis.eun.edu.ge/). შეფასების შედეგები ჯამდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დგება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური რეიტინგი ფაკულტეტების მიხედვით. აკადემიური პერსონალის

საბოლოო შეფასებებში განსაზღვრული პროცენტული წილი ეთმობა პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის წახალისების მიზნით, კერძოდ სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თითოეულ ფაკულტეტზე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება აღნიშნული მეთოდის გამოყენებით პირველად განხორციელდა 2018-2019 აკადემიურ წელს. შეფასების შედეგების მიხედვით პერსონალის დაჯილდოვება ევროპის უნივერისტეტის მიერ განხორციელდა საჯაროდ, სტუდენტთა თანდასწრებით, რაც ადმინისტრაციის შეხედულებით ზრდის როგორც სტუდენტთა მოტივაციას მიიღონ აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებსა და გამოკითხვის პროცესში, ასევე, ზრდის პერსონალის მოტივაციას გაუმჯობესონ სტუდენტებისა და ადმინისტრაციის კმაყოფილება და შეაფსების შედეგები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობა ასევე შეფასდა 2019-2020 აკადემიური წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, დაჯამებულია წლიური შეფასების შედეგებიც. შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებსა და დეკანებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. ფაკულტეტის დეკანი რეაგირების ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეაგირების პროცესების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით. დეკანების მიერ წარმოდგენილია 2019-2020 აკადემიური წლის შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები. ანგარიშში აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, უკვე განხორციელებული აქტივობები, ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი #7 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების თანდართული ანგარიშები).

შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაჯილდოვდა საუკეთესო შედეგების მქონე 10 აკადემიური პერსონალი და 15 მოწვეული პერსონალი. ფაკულტეტების მიხედვით დაჯოლდოვებული პერსონალის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 8 მოწვეული პერსონალი; ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 4 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 4 მოწვეული პერსონალი.



2019-2020 აკადემიური წლის შეფასების შედეგების მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაჯილდოვების თანხამ ჯამში შეადგინა 28 100 ლარი.

ფაკულტეტების მიხედვით დაჯილდოვების თანხები შემდეგნაირად ნაწილდება: სამართლის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვება 15 400 ლარი: აკადემიური პერსონალის - 4 500 ლარი და მოწვეული პერსონალის - 10 900 ლარი; ბიზნესის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვება 6 600 ლარი: აკადემიური პერსონალის - 4 500 ლარი, მოწვეული პერსონალის 2 100 ლარი; მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვება 6 100 ლარი: აკადემიური პერსონალის - 3 000 ლარი, მოწვეული პერსონალის - 3 100 ლარი.



2019-2020 აკადემიური წლის შეფასების შედეგების მიხედვით პერსონალის დაჯილდოვება ევროპის უნივერისტეტის მიერ განხორციელდა კვლავ საჯაროდ, თუმცა შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე ღია სივრცეში და მხოლოდ დაშვებული

რაოდენობის დამსწრეთა მონაწილეობით. ინფორმაციის საჯაროობა ადმინისტრაციის შეხედულებით ზრდის როგორც სტუდენტთა მოტივაციას მიიღონ აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებსა და გამოკითხვის პროცესში, ასევე, ზრდის პერსონალის მოტივაციას გააუმჯობესონ სტუდენტებისა და ადმინისტრაციის კმაყოფილება და შეაფსების შედეგები.

3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. შეფასება ხორციელდება რამდენიმე შემთხვევაში, მათ შორის, პერსონალის მიერ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების შემთხვევაში, სტუდენტთა გამოკითხვის საფუძვლეზე საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, წინა დაკვირვების საფუძველზე საყურადღებო საკითხების დაფიქსირების შემთხვევაში. შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის, დარგის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელის, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენლის ჩართულობით. შეფასება ხორციელდება თითოეული შემფასებლის მიერ ინდივიდუალურად. შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად. შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. შეფასების შედეგები ასევე ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანს საჭიროების შემთხვევაში რეაგირებისთვის. დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები აანალიზებენ შეფასების შედეგებს, განსაზღვრავენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. სჭირეობის შემთხვევაში ფაკულტეტი თანამშრომლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით. საყურადღებო საკითხებისა და იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაძლოა დაიგეგმოს განმეორებითი შეფასება. სააუდიტორო საქმიანობის აღნიშნული შეფასება ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ხორციელდება 2018-2019 აკადემიური წლიდან ყოველსემესტრულად. შეფასებები განხორციელდა 2019-2020 აკადემიურ წელსაც, აღნიშნულ პერიოდში წინა წლის შეფასებებზე დაყრდნობით განხორცილედა რამდენიმე განმეორებითი შეფასებაც. 2019-2020 აკადემიური წლიდან სააუდიტორო მუშაობის შეფასებების პროცესში აქტიურად ჩაერთო სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელი, სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების შეფასების ანდა შეფასების პროცესში გამოკვეთილი საუკეთესო პრაქტიკაზე დაკვირვების, გამოვლენის,

გათვალისწინების მიზნით. შეფასების შეჯამებული ანგარიშები გაზიარებული შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან საჭიროების შემთხვევაში რეაგირებებისთვის (იხ. დანართი #8 - სააუდიტორო საქმიანობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები და შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები).

ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ აქტიურად მიმდინარეობს სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება. 2019 წელს აღნიშნული ცენტრის მიერ ჩატარდა 6 სხვადასხვა მიმართულების ტრენინგ-მოდული, კერძოდ,

1. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო კურსის დაგეგმვა - ტრენინგ-მოდულის მიზანია ტრენინგის მონაწილეთა ცოდნის გაღრმავება სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის პრინციპებში; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის თანამედროვე მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ზოგადი და საუნივერსიტეტო აკრედიტაციის სტანდარტების გაცნობა; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, შინაარსისა და მეთოდების სილაბუსში სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მონაწილეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.

2. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - ტრენინგ-მოდულის მიზანია მონაწილეებისთვის სწავლების პროცესში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების გამოყენების არსისა და მნიშვნელობის გაცნობა; მონაწილეებისთვის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენების ტექნიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; უნივერსიტეტში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით.

3. შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია უნივერსიტეტში შეფასების მეთოდების გაუმჯობესება და თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობა; მონაწილეებისთვის შეფასების ძირითადი მიდგომების, ეროვნული სტანდარტების, შეფასების პრინციპებისა და ძირითადი კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; მონაწილეებისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების უნარ-ჩვევების განვითარებაში დახამრება.

4. სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მონაწილეებს გააცნოს სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები და აქტიური სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტები; უნივერსიტეტში სწავლების

თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გაღრმავება; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებზე ორიენტირებული სწავლის მეთოდების სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მსმენელთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.

5. ციფრული ტექნლოგიების ჩართვის უპირატესობები სწავლების პროცესში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მსმენელებს გააცნოს ის უახლესი ელექტრონული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება შერეული სწავლების დროს. პირისპირ და ონლაინ სწავლებათა ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით წინასწარ შერჩეული ელპლატფორმების, ონლაინ კურსებისა თუ აპლიკაციების გამოყენების უპირატესობათა წარმოჩენა და მათი სასწავლო კურსებში იმპლიმენტირება.

6. პლაგიატის ამომცნობი პროგრამის ინტეგრირება სასწავლო პროცესში - პლაგიატის ამომცნობი პროგრამის -Turnitin.com -ის გამოყენება სწავლებისას და შეფასებისას.

ტრენინგ-მოდულების აღნიშნული მიმართლებების შერჩევა განაპირობა უმაღლეს საგანმანათლებლო პროცესში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარების ტენდენციებმა და ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების აუცილებლობამ. ტრენინგ-მოდულთა აღნიშნული მიმართულებები, ასევე განაპირობა ევროპის უნივერსიტეტში 2018 წელს ჩატარებულმა კვლევის ანალიზმა, რომელიც სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგად იქნა მიღებული.

2019-2020 აკადემიურ წელს ცენტრის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს ჯამში დაესწრო ევროპის უნივერსიტეტის 476 აკადემიური და მოწვეული პერსონალი (დეტალებისთვის იხ. დანართი #9 - სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში ჩატრებული ტრენინგების შესახებ). ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადების მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: 2019-2020 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნულ მოდულებში გადამზადდა ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკუტეტის 68 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე - 128 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტზე - 280 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ რაოდენობებში პერსონალი შესაძლებელია მეროდებოდეს, ერთი და იგივე პერსონალის რამდენიმე მოდულზე დასწრებიდან გამომდინარე.

გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფაკულტეტების და მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



მედიცინის ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

ტრენინგ-მოდულის დასახელებ	დამსწრე პერსონალის რაოდენობა
სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა	73
შეფასების თანამედროვე მეთოდები	28
PBL	50
სწავლების თანამედროვე მეთოდები	40
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები (პლაგიატის პროგრამა)	6
ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება (Moodle, Zoom)	95

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

ტრენინგ-მოდულის დასახელებ	დამსწრე პერსონალის რაოდენობა
სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა	11
შეფასების თანამედროვე მეთოდები	11
PBL	6
სწავლების თანამედროვე მეთოდები	29
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები (პლაგიატის პროგრამა)	27
ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება (Moodle, Zoom)	22

სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

ტრენინგ-მოდულის დასახელებ	დამსწრე პერსონალის რაოდენობა
სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა	31
შეფასების თანამედროვე მეთოდები	10
PBL	6
სწავლების თანამედროვე მეთოდები	29
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები (პლაგიატის პროგრამა)	44
ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება (Moodle, Zoom)	66

3.3. სასწავლო პროცესის შეფასება

სასწავლო პროცესის შეფასება და გამართულად ფუნქციონირება უზრუნველყოფილია რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ:

3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდლოგია. უნივერსიტეტში შემუშავებულია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდლოგია. მეთოდოლოგიის მიხედვით ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი (აუდიტორიების რაოდენობა და გამტარუნარიანობა), ადამიანური რესურსი (როგორც პროგრამის ადმინისტრირების

პროცესში ჩართული, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი), ამასთანავე, ფასდება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსი, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე პრაქტიკის ბაზების გამტარუნარიანობა. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის რესურსის შეფასების საფუძველზე, გამოითვლება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლის ხარისხიანად და ეფექტიანად მომსახურებასაც შესძლებს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მეთოდოლოგიის თანახმად დადგენილი რაოდენობები, სხვა მონაცემებთან ერთად (როგორიცაა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა, სასწავლო წელს დამამთავრებელი სტუდენტების შესაძლო რაოდენობა) მხედველობაში მიიღება უნივერისტეტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტების / მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე მისაღები კანდიდატებისთვის ადგილების გამოცხადების, მობილობით ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობის გაცემის შემთხვევებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმების ფარგლებში ასევე, შემუშავებულია სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა. პროცედურა განსაზღვრავს სტუდენტთა რაოდენობების მონიტორინგის მექანიზმებს ადგილების გამოცხადების ზემოაღნიშნულ შემთხვევებში. ამდენად, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგემვის მეთოდოლოგიის მიხედვით განისაზღვრება სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლებიც პროგრამის რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნენ ხარისხიანი განათლებით, ხოლო სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა და პროცედურით გათვალისწინებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მეთოდლოგიით განსაზღული რაოდენობების შენარჩუნებასა და მონიტორინგს. უნივერსიტეტის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობა (3000 სტუდენტი) გამოთვლილია სწორედ აღნიშნული მეთოდლოგიის მიხედვით. ხოლო 2019-2020 აკადემიური წლის მიმდინარეობსას ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტების / მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე მისაღები კანდიდატებისთვის ადგილების გამოცხადების, მობილობით ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობის გაცემის შემთხვევებში, უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურებით და დოკუმენტით განსაზღვრული ფორმის გამოყენებით ახდენდა სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგს (დეტალებისთვის იხ. დანართი #10 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის ცხრილი და რიცხოვნობის მონიტორინგის ცხრილი).

3.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება კმაყოფილების კვლევების გზით. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება კმაყოფილების კვლევევები, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკთხვა. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღნიშნული გამოკითხვის შედეგად აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მართვის სტილს, ანაზღაურების საკითხებს და ა.შ. სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა კი ემსახურება სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა, სასწავლო პროცესი, უნივერსიტეტის ინფრასტუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები და სხვ. მობილობით გადასურლი და გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის მიზანია შეისწავლოს და შეაფასოს სტუდენტთა უნივერისტეტიდან გადასვლისა და უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზები. ზემოაღნიშნული გამოკითხვების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას (https://eunsis.eun.edu.ge/).

2019-2020 აკადემიურ წელს ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგად გამოვლინდა მათი საერთო ჯამში უნივერსიტეტით მეტწილად კმაყოფილება:

83. ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად გამართლდა თქვენი მოლოდინები უნივერსიტეტის არჩევით?



თუმცა გამოკითხვის შედეგები გაცილებით მრავალმხრივი, დეტალური და მოცულობითია, როგორც სტუდენტის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შემთხვევაში. შეფასების გაანალიზებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჯგუფდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიხედვით. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულსა და სამსახურს (დეკანატს, ბიბლიოთეკას, სტუდენტთა და

კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრს, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და ხელშეწყობის ცენტრს და ა.შ.) ეგზავნება შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხები, სიღრმისეული შესწავლისა და რეაგირებისთვის. სტრუქტურული ერთეულები ყველა საჭირო რგოლთან თანამშრომლობით ახდენს საყურადღებო საკითხებზე რეაგირებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებას. რეაგირების ანგარიშები უკვე განხორციელებული ან დაგეგმილი აქტივობების შესახებ ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული კვლევები ევროპის უნივერსიტეტში ხორციელდება ყოველწლიურად (დეტალებისთვის იხ. დანართი #11 - პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის და სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები).

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით. 2019-2020 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ხარისხის უზრუნველოფის სამსახურმა პირველად განახორციელა სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრებისა და შეხვედრებზე კონკრეტული საკითხების განხილვის გზითაც. შეხვედრების სერია შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმის (zoom.us) გამოყენებით. შეხვედრები განხორციელდა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ჯგუფებთან. აღნიშნული შეხვედრებისთვის სტუდენტებისთვის შერჩვა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

შეხვედრის ფარგლებში, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს მიეწოდა ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სტუდენტების მხრიდან სამსახურთან კომუნიკაციის შესაძლებლობების შესახებ. ეცნობათ შიდა სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობის შესახებ, განემარტათ თუ რა ტიპის ინფორმაციას შეიძლება გაეცნონ დოკუმენტებით, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტში მათ უფლებებსა და ვალდებულებებს.

შეხვედრების მიზანს ასევე წარმოადგენდა, როგორც დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე სასწავლო პროცესისა და ადმინისტრირების საკითხების, ასევე, სტუდენტების მხრიდან, საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სასწავლო და საგამოცდო პროცესების, მატერიალური და ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურის ზოგად შეფასებას. ასევე, უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტების მიერ წინა პერიოდში დაფიქსირებულ რეკომენდაციებზე რეაგირებებისა და გადადგმული ნაბიჯების მათთვის გაცნობა. სტუდენტებს საშუალება მიეცათ დაეფიქსირებინათ აკუთარი აზრი და დაესვათ შეკითხვები.

შეჯამდა და გაანალიზდა შეხვედრების შედეგები. გამოიყო სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირებული როგორც დადებითი შეფასებები, ასევე, საყურადღებო საკითხები.

შეხვედრების შედეგების ანალიზი გაიგზავნა ფაკულტეტებთან და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, რომელთაც უკავშირდებოდა დაფიქსირებული საყურადღებო საკითხები. ფაკულტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებს ეთხოვათ რეგირების ნაბიჯების დაგეგმვა, განხორციელება და რეაგირების ანგარიშების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ანგარიშგებისა და შეფასებებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა ფაკულტეტებისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ შედეგების გათალისწინებისა და რეაგირებების შესახებ დეტალური უკუკავშირის გაგზავნა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის, რაც ემსახურება სტუდნეტთა მოტივაციის გაზრდას მომავალში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, მათთვის რეგირებების რეალური შედეგების დემონსტრირების გზით (იხ. დანართი #12 - სტუდენტებთან შეხვედრების შემაჯამაბელი ანგარიშები, შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშები).

მობილობით გადასულ და მობილობით გადმოსულ სტუდენტთა გამოკითხვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება ყოველწლიურად, ყოველი მობილობის დროს და შესაბსამისად ჩატარდა 2019-2020 აკადემიურ წელსაც. გამოკითხვის შედეგების თანახმად, ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე მიზეზები, თუ რამ განაპირობა მათი მობილობის წესით სხვა უსდ-ში გადასვლა, ასე გადანაწილდა: ერთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში არსებობდა სხვა საგამანათლებლო პროგრამა, რომელზეც მას სურდა სწავლის გაგრძელება, ხოლო მეორე სტუდენტი მიზეზად ასახელებს მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში უფრო ადვილ სწავლას. ორივე სტუდენტი უნივერსიტეტის ლოკაციასა და სწავლის საფასურსა და გადახდის პირობებსაც ასახელებს გადასვლის მიზეზად. ქართულენოვან საგანმანათლელო პროგრამების შემთხვევაში კი მობილობის წესით სხვა უსდ-ში გადასვლის მიზეზები შემდეგნაირია: დიდი პროცენტული მაჩვენებელი (61.54%) მობილობით არჩეულ უნივერსიტეტის ადგილმდებარეობაზე მოდის. 46.15% კი მიიჩნევს, რომ მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში უფრო ხარისხიან განათლებას მიიღებენ, 23.08% კი თვლის, რომ მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში უფრო ადვილია სწავლა და ასევე ეროვნული გამოცდებისას ვერ მოხვდა მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში, რამაც მისი ამჟამად გადასვლა განაპირობა. იმავე პროცენტული მაჩვენებლით (23.08%) სტუდენტები მიზეზად ასახელებენ მობილობით არჩეული უნივერსიტეტის სწავლის საფასურსა და გადახდის პირობებს. 7.69% კი ხაზს უსვამს, რომ მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში არსებობდა სხვა საგამანათლებლო პროგრამა, რომელზეც მას სურდა სწავლის გაგრძელება. ევროპის უნივერსიტეტში მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოკითხულების ყველაზე დიდი ოდენობა (82.12%) მიიჩნევს, რომ ევროპის უნივერსიტეტში უფრო ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობაა (დეტალებისთვის იხ. დანართი #13 - მობილობის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი). გამიკითხვის

შედეგები საკმაოდ დადებითია, თუმცა შედეგების ანალიზი ხარისხის სამსახურის მიერ გაზიარებული ფაკულტეტბისთვის და მარკეტინგის სამსახურისთვის გაცნობისთვის. რადგან გამოკითხვის შედეგად არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი საყურადღებო შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკუტლეტებისგან არ გამოითხოვა რეაგირების ანგარიშები.

3.3.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგამოცდო პროცესების შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება საგამოცდო პროცესების შეფასებაც. აღნიშნული მიზნით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ. გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ საგამოცდო პროცესების ორგანიზების საკითხებს, საგამოცდო საკითხების სილაბუსის შინაარსთან და სილაბუსით განსაზღვრულ საგამოცდო დავალებებთან შესაბამისობას, გამოცდების მსვლელობისას საჭირო ინსტრუქციებით სტუდენტის უზრუნველყოფის, ასევე, გამოცდის დამკვირვებელთა ორგანიზებულობის საკითხებს. აღნიშნული საშუალებას აძლევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეაფასოს ზოგადად საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა და ორგანიზება, სტუდენტების აღნიშული პროცესებით კმაყოფილება, ამასთან, მოახდინოს შესაძლო გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და უზრუნველყოს მათი გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა. მიღებული შედეგების ანალიზი, გამოკვეთილი საყურადღებო საკითხები ეგზავნება საგამოცდო ცენტრს რეაგირებისთვის. საგამოცდო ცენტრი სტუდენტთა კმაყოფილების გაზრდისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელებული სამუშაოებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიშს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განხორციელებული ნაბიჯების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. საგამოცდო პროცესების შეფასება ევროპის უნივერსიტეტში მიმდინარეობს 2018-2019 აკადემიური წლიდან, შუალედური და დასკვნითი გამოცდების პერიოდის დასრულების შემდეგ. გამოკითხვის შედეგად გამოვლენილია კონკრეტული საყურადღებო საკითხები, რომელთა გაუმჯობესების მიმართულებით მუდმივად მუშაობს საგამოცდო ცენტრი (დეტალებისთვის იხ. დანართი #14 - საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე საგამოცდო ცენტრის რეაგირების ანგარიშები).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრისგან გამოითხოვს ანგარიშს გამოცდების მიმდინარეობის დროს სტუდენტთა გამოცდებიდან მოხსნის, მოხსნის მიზეზების, საგამოცდო შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების, ასევე, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების მიზეზების შესახებ. საგამოცდო ცენტრი დანართების სახით წარმოადგენს სტუდენტა სააპელაციო განაცხადების განხილვის, განხილვის შედეგად

მიღებული გადაწყვეტილებების დამადასტურებელ ოქმებს. ანგარიში ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული პროცესების რეგულირებისა და სტუდენტთა ინტერესების გათალისწინების საკითხების შეფასებას. 2019-2020 წელს საგამოცდო ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენილი ანგარიშების თანახმად დაფიქსირებულია დასაბუთებული მიზეზით სტუდენტთა გამოცდიდან მოხსნის შემხთხვევები, დაფიქსირებულია ასევე სტუდენტთა სააპელაციო განაცხადებით მიმართვის შემთხვევები, არის სტუდენტთა მოთხოვნების დასაბუთებულად დაკმაყოფილებისა და დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევები. ამდენად, 2019-2020 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნული შეფასებების შედეგად საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა და შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რეაგირების მოთხოვნის საჭიროება (იხ. დანართი #15 - საგამოცდო ცენტრის ანგარიშები).

თავი 4. კვლევა

კვლევითი საქმიანობის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და გულისხმობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებასა და ანალიზს.

4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება. კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრთან. ცენტრის მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის გამოთხოვა. პერსონალის შეფასების წესის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილია შეფასება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ ივსება ყოველწლიურად და წარედგინება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და ხელშეწყობის ცენტრს. ანაგრიშის დამუშავება და შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ. აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული და კომისიის მიერ დადასტურებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშები მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთნ ერთად ახდენს შედეგების გაანალიზებას და აკადემიური პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას, ასევე, სამომავლო აქტივობების დაგეგმვასა და ორგანიზებას აკადემიური პეროსნალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

ზემოაღნიშნული წესი თითოეული აკადემიური პოზიციის შემთხვევაში განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს (მინიმალური ქულების მოცულობას). დადგენილი მინიმალური მოთხოვნების და კმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით დადგენილი მოცულობის ანაზღაურებას, რაც უნივერსიტეტის მხრიდან მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერად განიხილება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში პირველად განხორციელდა 2018-2019 აკადმეიური წლის ბოლოს და განხორციელდება ყოველწლიურად (2019-2020 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და ცენტრის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აგანხორციელებული აქტივობების შესახებ დეტალებისთვის იხ. წინამდებარე ანგარიშის 3.2.1. პუნქტი - აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით).

4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებების დადგენისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ცენტრის ხელმძღვანელისგან გამოითხოვს ანგარიშს საერთაშორისო საგრანტო კონკურსში, ადგილობრივ საგრანტო კონკურსში, საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის შესახებ. ანგარიშის მიხედვით ფასდება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიმართულებით აკადემიური პერსონალის აქტივობა. შესაძლოა გაიცეს რეკომენდაციები აღნიშნული მიმართულებით ცენტრის მხრიდან ინფორმაციის მეტად გაზიარების ან/და აქტივობების მეტად ინტენსიურად დაგეგმვასთან დაკავშირებით (იხ. დანართი #16 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვენელის თანდართული ანგარიში უნივერსიტეტის პერსონალის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ). 2019-2020 აკადემიურ წელს წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად:

1. სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შეტანილ იქნა 2 განაცხადი საერთაშორისო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

#	საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა	ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი	სტატუსი
1	სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის კიბერ, ნარკოტიკულ საშუალებებთან და აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება	PH International Georgia	პროექტი არ დაფინანსებულა
2	კორონა ვირუსის გამო სამსახურიდან დათხოვნილი მუშა-მოსამსახურეების სამართლებრივი დახმარება	European Commission: Eastern Partnership Civil Society Facility	პროექტი არ დაფინანსებულა

2. სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შეტანილ იქნა 2 განაცხადი, ხოლო ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ 1 განაცხადი ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

#	საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა	ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი	სტატუსი
1	ჯინის და ტეილის ინდექსები და საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური სტრუქტურის მოდელის აგება პარეტოსა და ლოგნორმალური განაწილებების საშუალებით	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პროექტი არ დაფინანსებულა
2	ნარკოტიკული დანაშაულის დეკრიმინალიზაცია საქართველოში, შედარებითი ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პროექტი არ დაფინანსებულა
3	„საერთაშორისო სამართალი ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარის აკრძალვის პრინციპის შესახებ: თეორია და პრაქტიკა საქართველოს მაგალითზე“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პროექტმა მიიღო რანჟირებული სიის დადგენის შემდეგ განსაზღვრულზე დაბალი ქულები

3. მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შეტანილ იქნა 2 განაცხადი, ხოლო სამართლის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის აკადემიური

პერსონალის მიერ 1 განაცხადი საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

#	საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა	ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი	სტატუსი
1	ონკოლოგიურ პაციენტებში ქიმიოთერაპიის შემდგომი ყელის სიმშრალის მკურნალობა და პროფილაქტიკა პრეპარატ ისლა მინთით.	ევროპის უნივერსიტეტი	პროექტი დაფინანსდა და დასრულებულია
2	სისხლძარღვშიდა და სისხლძარღვთა ფაქტორების კომპლექსური შესწავლა ახალგაზრდებში სისხლის დენადობის დადგენის მიზნით.	ევროპის უნივერსიტეტი	პროექტი დაფინანსდა და დასრულებულია
3	სავალდებულო წილის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში.	ევროპის უნივერსიტეტი	პროექტი დაფინანსდა და მიმდინარეობს

4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ. 2019-2020 აკადემიურ წელს დაფინანსებული საგრანტო პროექტების მიმდინარეობის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ შეფასებისა და უნივერსიტეტისთვის პროექტის შედეგების მნიშნელობის გაანალიზების მიზნით შემუშავდა საგრანტო პროექტების მიმდინარეობის შეფასების კვარტალური ანაგრიშის ფორმა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ გაანალიზებულია 2019-2020 აკადემიურ წელს მიმდინარე 1 და დასრულებული 2 საუნივერსიტეტო პროექტის შედეგები და შეფასებულია პროექტის შედეგების მნიშვნელობა უნივერსიტეტისთვის. აღნიშნული შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ განხორციელდა საგრანტო პროექტების მიმდინარეობის/დასრულების შესახებ ფაკულტეტებისგან მიღებული ანგარიშის საფუძველზე. აღნიშნული ანაგრიში საშუალებას იძლევა შეფასდეს პროექტების სამეცნიერო პროდუქტიულობა, მაგალითად მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში პუბლიკაციების გამოქვეყნება, ან სხვა რაიმე სახის პროდუქტის, შედეგის მიღება, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების გავრცელება სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით. ანგარიში ასევე იძლევა საშუალებას შეფასდეს პროექტის ძირითადი მიღწევები, პროექტის შედეგების საგანმანათლებლო პროცესებში გამოყენების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი #17 - კვლევითი საგრანტო პროექტების მიმდინერეობის ანგარიში). 2019-2020 აკადემიურ წელს დასრულებული საუნივერსიტეტო პროექტების შედეგები შემდეგია:

საგრანტო პროექტი 1 (დასრულებული): სისხლძარღვშიდა და სისხლძარღვთა ფაქტორების კომპლექსური შესწავლა ახალგაზრდებში სისხლის დენადობის დადგენის მიზნით. პროექტის ხანგრძლივობა: 12 თვე. პროექტის ბიუჯეტი: 20 000 ლარი.

პროექტი წარმოადგენდა კროს და ინტერდისციპლინურ სამეცნიერო ნაშრომს ფიზიოლოგიის, მედიცინის, მეთოდოლოგიის და სამედიცინო სწავლების მიმართულებით. პროექტი ინოვაციურია. პროექტის ფარგლებში პირველად იყო ჩატარებული კომპლექსური კვლევა, რომლმაც დაადგინა კოაგულაციური მექანიზმების, რეოლოგიული მექანიზმების, სისხლძარღვოვანი ფაქტორების როლი სისხლის დენადობის ჩამოყალიბებაში. სომატურად ჯანმრთელ ახალგაზრდა მამაკაცებში პირველად იყო დადგენილი ამ ფაქტორების საკონტროლო მნიშვნელობები. შემუშავდა უახლესი მეთოდი, რომელიც განსაზღვრავს მიკროცირკულაციურ კოეფიციენტს. პირველად იყო ნაჩვენები რეზისტიული არტერიების ფუნქციური მდგომარეობის მნიშვნელობა სისხლის დენადობის მიმართ.

პროექტის ფარგლებში შემუშავებული იყო რეზისტიული არტერიების კვლევის მეთოდი. ეს მეთოდი იყო ციფრული. სხვა არსებული მეთოდები ოპტიმიზირდა. პროექტის მსვლელობისას შემუშვდა რეზისტიული არტერიების ფუნქციური მდგომარეობის დადგენის ჩატ ბოტი. ეს არის მსოფლიო ინოვაცია, რომელიც COVID-19-ის პანდემიის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

პროექტს გააჩნია განსაკუთრებული ღირებულება სამედიცინო სწავლების თვალსაზრისით. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა 4 სტატია და 10-ზე მეტი სამეცნიერო თეზისი. პროექტის ფარგლებში პროექტის ყველა მონაწილემ, წარადგინაა პრეზენტაციები პრესტიჟულ სამეცნიერო ღონისძიებებზე (Face to face და zoom ფორმატში). პროექტში მიღებული დასკვნების იმპლემენტაცია საგანმანათლებლო პროცესში უკვე დაწყებულია მრავალი მიმართულებით. პროექტის ფარგლებში მიზნების მიღწევადობის პროცესმა ხელი შეუწყო არაერთი დასკვნის გენერირებას. ნათელი მოეფინა რამოდენიმე დებულებას, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში, მათ შორის სასწავლო საბაზისო სახელმძღვანელოებში არ იყო დეტალურად აღწერილი. პროექტში მიღებული და სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებული დასკვნები უკვე შეტანილია დიპლომირებული მედიკოსის საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში „კვლევითი უნარები 1“ და „კვლევითი უნარები 2“. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტები ეუფლებიან იმ ახალ არაინვაზიურ მეთოდოლოგიას, რომელიც აღწერილია პროექტში. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში მიღებულია ნორმატიული რეზულტატები (ჯანმრთელი მამაკაცების რეზისტიული არტერიების ფინქციური მდგომარეობის ამსახავი ინდექსის საკონტროლო მნიშვნელობები). აღნიშნული მონაცემები დამატებულია სასწავლო კურსების ფარგლებში, სასწავლო ქეისში და აგრეთვე განიხილება განცალკევებულადაც.

კვლევას გააჩნდა პრაქტიკული ღირებულებაც. პრაქტიკული თვალსაზრისით პროექტი შეუცვლელია, ვინაიდან სადიაგნოსტიკო სტანდარტში ნორმატიული აქტის სახით არის დაკორექტირებული დენადობის პარამეტრები ახალგაზრდა მამაკაცებში, აგრეთვე შეტანილია ახალი სადიაგნოსტო საშუალება: მიკროცირკულაციის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს რეზისტიული არტერიების ფუნქციურ მდგომარეობას. კვლევის მეთოდები უკვე დაინერგა საპილოტე კლინიკებში (კლინიკა ტერდი, ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრი).

საგრანტო პროექტი 2 (დასრულებული): ონკოლოგიურ პაციენტებში ქიმიოთერაპიის შემდგომი ყელის სიმშრალის მკურნალობა და პროფილაქტიკა პრეპარატ ისლა მინთით. პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე. პროექტის ბიუჯეტი: 13 900 ლარი.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა წამლის ეფექტიანობის დადგენა ყელის ისეთი დისკომფორტის დროს, როგორიცაა ტკივილი, სიმშრალე, წვის შეგრძნება და გაღიზიანება, რაც გამოწვეულია ქიმიოთერაპიით, და მისი ეფექტურობის ხარისხის განსაზღვრა სუბიექტური და ობიექტური მონაცემების საფუძველზე, შესაბსამისად, ონკოლოგიურ პაციენტებში ქიმიოთერაპიის შემდგომი გვერდითი მოვლენების შემსუბუქების გზების ძიება, რომელიც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს პაციენტების სიცოცხლის ხარისხის გაზრდას და მათ ფსიქო-ემოციური ფონის გაუმჯობესებას. პროექტს ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი კლინიცისტები და მკვლევარები, რომლებმაც თავიდან შეისწავლეს აღნიშნული მიმართულებით არსებული კვლევები და უშუალდო აღნიშნული მიმართულებით არ მოიძებნა მარტივი და ხელმისაწვდომი პროფილაქტიკა.

კვლევას გააჩნია პრაქტიკული ღირებულება. კვლევის შედეგების გაანალიზებით დადგინდა რომ ქიმიოთერაპიის შემდგომი ყელის სიმშრალის მართვაში ბუნებრივი პრეპარატის ისლამინთის ჩართვამ გამოიღო დადებითი შედეგი. მონაცებები სარწმუნოა და მრავალჯერ დასაბუთდა და წარედგინა კოლეგებს სხვადასხვა კონფერენციებზე მოხსენების ფორმით. პრეპარატ ისლამინტით პროფილაქტიკა და მკურნალობა ონკოლოგიურ პაციენტებში არის ერთ ერთი ინოვაციური და თანამედროვე მიდგომა და მეთოდი, რომელიც ინფორმაციის სახით გაზიარება მომავალშიც გაგრძელდება აღნიშნული სფეროს წარმომადგენლებთან. დაგეგმილია კვლევის შედეგების წარდგენა საქართველოში არსებულ ონკოლოგთა ასოციაიციასთან და მათი ჩართულობით და ხელშეწყობით ბევრ პაციენტს შეუმსუბუქდება მდგომარეობა. უცხოელი პარტნიორების ჩართულობით პროექტის შედეგების დანერგვა იგეგმება სხვა ქვეყნებშიც.

პროექტს გააჩნია ღირებულება სწავლების თვალსაზრისითაც. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის საგამანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების „ონკოლოგია“ და „ოტო-რინო-ლარინგოლოგია“ ფარგლებში, მკურნალობის ნაწილში.

საგრანტო პროექტი 3 (მიმდინარე): სავალდებულო წილის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში. პროექტის ხანგრძლივობა: 2 წელი. პროექტის ბიუჯეტი: 3 000 ლარი.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა, ხელს შეუწყობს ქართულ კანონმდებლობაში უღირს მემკვიდრედ ცნობასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრას.

პროექტს გააჩნია განსაკუთრებული ღირებულება სწავლების თვალსაზრისით. მისი შედეგები საინტერესო და ღირებული იქნება სტუდენტებისთვის. კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კერძო სამართალში“, „შედარებითი კერძო სამართალი“ და „სამოქალაქო პროცესი“ ფარგლებში.

კვლევას გააჩნდა პრაქტიკული ღორებულება. კვლევის შედეგები მნიშნელოვანი და ღირებულია პრაქტიკოსი იურისტებისათვის, მეცნიერებისა და სასამართლოებისათვის.

თავი 5. მართვის პროცესები

მართვის პროცესების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და ითვალისწინებს ადმინსიტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევას და ამ კუთხით უნივერსიტეტის მართვის პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად ხდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, თითოეული თანამშრომლის მხრიდან ხდება სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან, ფუნქციებისა და მიზნების შეფასება, ადმინისტრაციული პერსონალი ასახელებს ფაქტორებს, რაც გაზრდიდა მათი ფუნქციების შესრულების ეფექტიანობას. ამასთანავე, სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხდება მოსაზრებების, რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარება ადმინისტრაციული თანამშრომლების მიერ. მართვის პროცესების შეფასება საშუალებას იძლევა შეფასდეს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების მუშაობის ეფექტიანობა, გამოიკვეთოს აღნიშნულთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხები და გასაუმჯობესებელი მხარეები. მიღებული შედეგების გაანალიზების შედეგად შესაძლოა შემუშავდეს რეკომენდაციები კონკრეტული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების მისამართით. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და სამსახურებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. აღნიშნული გამოკითხვა უნივერსიტეტში პირველად ჩატარდა 2018-2019 აკადემიურ წელს, მოხდა შედეგების გაანალიზება, შემუშავდა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შინაარსიდან გამომდინარე

რეაგირებისთვის გაეგზავნა შესაბამის სამსახურებს. სამსახურების რეაგირების ანგარიშები წარედგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებისა და მონიტორინგისთვის. გამოკითხვა ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა 2019-2020 აკადემიურ წელსაც, მოხდა შედეგების გაანალიზება (დეტალებისთვის იხ. მართვის პროცესების 2019-2020 წლის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი). გამოკითხვის შედეგები და ანალიზი გაეგზავნა ევროპის უნივერსიტეტის მენეჯმენტს, სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, ჩატარდა შეხვედრა, სადაც დეტალურად იქნა განხილული საყურადღებო საკითხები, გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიეცათ ინსტრუქცია რეაგირების ანგარიშის მომზადებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენის შესახებ. რეაგირების ანგარიშების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინა დეტალური ინფორმაცია გამოვლენილ საყურადღებო შემთხვევების საპსუხოდ შესაბსამისი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული რეაგირებების, დაგეგმილი რეაგირებების შესახებ, ანგარიშების საშლებით ასევე წარმოდგენილია დასაბუთებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა შემთხვევებზე არ ჩაითვალა რეაგირება საჭიროდ (დეტალებისთვის იხ. დანართი #18 - მართვის პროცესების შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

შეფასების შედეგებზე რეაგირების შესახებ დეტალური უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაგზავნილ იქნა ადმინისტრაციულ პერსონალთან. შეფასების შედეგები და შედეგებზე რაგირებების მოკლე მიმოხილვა შემდეგნაირია:

ხშირად დაფიქსირებული დადებითი შეფასებები:

1. მაღალი ხარისხის კომუნიკაცია დეკანთან, სასწავლო პროცესის მენეჯერებთან და საგამოცდო ცენტრთან, მათი მზაობა ითანამშრომლონ;
2. უნივერსიტეტის გამართული სტრუქტურა;
3. ელექტრონულად გამართული სამუშაო პროცესი;
4. უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციები;
5. საქმიანობის პროცესში სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა;
6. გუნდურობა, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა და საქმისადმი სიყვარული;
7. გარემო, რომელიც ძალიან მარტივად ადაპტირების საშუალებას იძლევა;
8. კომუნიკაცია, კოლეგიალობა;
9. არსებულ საკითხზე/შესასრულებელ სამუშაოზე დროული რეაგირება;

10. მენეჯმენტის მიერ შექმნილი პოზიტიური სამუშაო სივრცე და მუდმივი მცდელობა შეკრას ერთიან პროფესიონალთა გუნდი;
11. ინფრასტრუქტურა;
12. წიგნადი ფონდის სწრაფად შევსება და მრავალფეროვნება;
13. ადამიანური რესურსი, რომელიც მაქსიმალურად იხარჯება ნებისმიერი საქმის შესრულებისას;
14. განვითარებაზე ორიენტირებულობა, რაც გამოიხატება ხელმძღვანელი პირის მიერ პროფესიული განვითარების მხარდაჭერასა და მუდმივ ხელშეწყობაში;
15. ყველა თანამედროვე გამოწვევაზე თუ სიახლეზე მყისიერად ფეხის აწყობა და დანერგვა;
16. მარტივი და ხელმისაწვდომი კომუნიკაციის არსებობა.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: ორგანიზაციის მართვის პროცესების ხარისხის შეფასების კითხვარში, სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის შესახებ დასმული შეკითხვა მოცემული ფორმულირებით არ იძლევა ზუსტი პასუხის გაცემის შესაძლებლობას, რადგან სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კომუნიკაციის ხარისხი განსხვავებულია.

რეაგირება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გადაიხედა ორგანიზაციის მართვის ეფექტიანობის შეფასებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კითხვარი.შეკითხვაზე, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის შეფასებას, პასუხებად მიეთითა უნივერსიტეტში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის ჩამონათვალი, რათა კითხვარის შევსებისას, შესაძლებელი იყოს დაზუსტდეს, თუ რომელ ერთეულთან კომუნიკაციას აფასებს რესპონდენტი უარყოფითად ან დადებითად. ასევე შემფასებელს მიეცემა შესაძლებლობა მიუთითოს, თუ რომელ სტრუქტურულ ერთეულთან არ აქვს ინტენსიური კომუნიკაცია

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: შიდა კომუნიკაციების გაძლიერება, ქვედა რგოლთან მეტი კომუნიკაცია

რეაგირება: კვლევის შედეგების განხილვის მიზნით ჩატარებულ შეხვედრაზე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ეთხოვათ მუდმივად და მყისიერად გააცნონ და მიაწოდონ სრული ინფორმაცია სტრუქტურულ ერთეულში შემავალ თითოეულ თანამშრომელს, განხილული საკითხებისა თუ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით გაითვალისწინოთ აღნიშნული საკითხი.

რეაგირების მიზნით დაგეგმილი სხვა აქტივობები:

1. მომსახურების ტრენინგი და კომუნიკაციის ტრენინგები;
2. შიდა საორგანიზაციო შეხვედრების უზრუნველყოფა სადაც ყველა საჭირო რგოლს მიეწოდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ინფორმაცია;
3. ელექტრონული ფოსტით და HR SOFT_ში სიახლეების განთავსება.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: მომუშავე პერსონალის გუნდურობის გაზრდა.

რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობა: ყველა თანამშრომლისთვის დაგეგმილია ჯგუფური შეჭიდულობის ღონისძიება (Teambuilding) ქალაქგარეთ, რომელსაც წარუძღვება გამოცდილი ფასილიტატორი და აქტივობები ორიენტირებული იქნება ჯგუფის გაერთიანებაზე საერთო მიზნების ქვეშ.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: სახელფასო ბიუჯეტის და პერსონალის რაოდენობის გადახედვა.

რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობები:

1. სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან ბიუჯეტის და პერსონალის რაოდენობის შესახებ;
2. ერთიანი სახელფასო ბადის დამტკიცება პოზიციების მიხედვით;
3. საშტატო განრიგის განხილვა მმართველ ორგანოებთან.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენება.

რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობები: სტრუქტურული ერთეული სისტემატიურად ახორციელებს რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტების გაზიარებას, შეტანილი ცვლილებების შესახებ დასაქმებული პერსონალის ინფორმირებას ელექტრონული ფოსტის, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სტრუქტურული ერთეულებისთვის/თანამდებობის პირებისთვის ზეპირი ან/და წერილობითი კონსულტაციის გაწევას. თუმცა სამართლებრივი აქტების პრაქტიკაში აქტიურად გამოყენების მიზნებისთვის განხორციელდება განხორციელდება შეხვედრები სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან სამართლებრივ აქტებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: კონდენციონერების დამატება.

რეაგირება: საჭიროებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ კორპუსში მოხდა ახალი კონდინციონერების შეძენა და მონტაჟი, რაც შეეხება მედიცინის ფაკულტეტის კორპუსს, მე-6 და მე-7 სართულზე არსებული ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მონტაჟის

გამო დროებით არ ფუნქციონირებდა გაგრილების სისტემა, ამასთან, პანდემიის გამო, არ იყო მიზანშეწონილი საერთო გაგრილების სისტემის ფუნქციონირება.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: დაქვემდებარებაში არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფილი აღრიცხვა და შემდგომში ეფექტური კონტროლი, რათა არ მოხდეს დაზიანება ან კარგვა.

რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობა: ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად შემუშავდება ე.წ შემოვლის ფურცელი, რომლის შევსება სავალდებულო იქნება თანამშრომლის წასვლის შემთხვევაში რათა დააბრუნოს ინვენტარი და ტექნიკა.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: თანამშრომლების მოსასვენებელი ოთახის არსებობა

რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობები: უნივერსიტეტის ეზოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს კაფის მოწყობის შიდა სამუშაოები და ფუნქციონირების შემდეგ შესაძლებელი იქნება სარგებლობა, რაც შეეხება დამატებით სივრცეს, სამწუხაროდ ამ ეტაპზე შენობა არ იძლევა დამატებითი ფართის საშუალებას, თუმცა სამომავლოდ როდესაც უნივერსიტეტის ეზოს ტერიტორიაზე აშენდება ახალი კამპუსი, გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხი.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: კომპიუტერული ტექნიკის გაძლიერება, რათა შესაძლებელი იყოს დიდი მოცულობის ფაილებთან მუშაობა

რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობები:

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მხრიდან ეტაპობრივად მიმდინარეობს კომპიუტერების გაძლიერება და ამისათვის საჭირო SSD ვინჩესტერების შეძენა. უნივერსიტეტის ბალანსზე არსებულ All in One ტიპის კომპიუტერების მყარი დისკები, ამ მოცემულობით, უკვე ჩანაცვლებულია 15 კომპიუტერზე SSD დისკებით, რომელიც დაახლოებით 10-ჯერ უფრო სწრაფია ძველ ანალოგებთან.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: Wi-Fi უკაბელო ინტერნეტის გაუმჯობესება

რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობები:

დაგეგმილია WI-Fi სისტემის გაძლიერება და განახლება, რისთვისაც დამატებით შეძენილია 7 UniFy ბრენდის WI-fi როუტერი და კონტროლერი, რაც უნივერსიტეტის უკაბელო ინტერნეტის ხარისხს საგრძნობლად გააუმჯობესებს. ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოები.

ადმინისტრაციულ პერსონალთან დამატებით გაზიარებული გარკვეული მოსაზრებები/პოზიციები გამოვლენილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით:

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: უნივერსიტეტისათვის დიდი მოცულობითი სერვერის არსებობა და უსაფრთხოების პოლიტიკა ყველა მონაცემის დასაცავად / არასაკმარისი ნოუთბუქების არსებობა/ ონლაინ შეხვედრებისთვის საჭირო რესურსების არსებობა.

შესაბამისი სამსახურის საპასუხო მოსაზრება: შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შეჯამებით, გამოვლენილ საკითხთან დაკავშირებით რეაგირება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია უსაფრთხოების პოლიტიკა და ქსელი მოდერნიზაციის შემდეგ კიდევ უფრო გაცილებით დაცული გახდება. სერვერს რაც შეეხება, ამ ეტაპისათვის სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ყველა აუდიტორია და ოთახი აღჭურვილია კომპიუტერით ონლაინ შეხვედრებისთვის უნივერსიტეტი იყენებს Google Meet-ს და Zoom-ს, შესაბამისად დისტანციური შეხვედრებისთვის საჭირო დამატებითი რესურსის აუცილებლობა არ იკვეთება.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: მეტი თავისუფლებისა და საკითხების დელეგირების სურვილი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

საპასუხო მოსაზრება: კვლევის შედეგების განხილვის მიზნით ჩატარებული შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იაზრებს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობას, თუმცა თვლის, რომ გამოკვეთილი საყურადღებო საკითხი უკავშირდება უნივერსიტეტში ახალი თანამშრომლების არსებობას და ამასთან, მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებთან დაკავშირებულ მაღალ პასუხისმგებლობას, რამაც შესაძლოა გამოიწვია გაცემული დავალებების შესრულების ზომაზე მეტად მონიტორინგი და ზედამხედველობა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მხარს უჭერს და იმედოვნებს აღნიშნული საკითხის დარეგულირებას თანამშრომელთა დასაქმების პერიოდის ზრდის პარალელურად.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: დავალებების შესრულებისთვის გონივრული ვადების მიცემის სურვილი.

რეაგირება და განმარტება: კვლევის შედეგების განხილვის მიზნით ჩატარებულ შეხვედრაზე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და უნივერსიტეტის ადმინსტრაციას ეთხოვათ, რომ მოხდეს შესასრულებელი სამუშაოების გონივრულად დაგეგმვა. თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თვლის, რომ მნიშვნელოვანია კონკრეტული შემთხვევების შესახებ დამატებითი განმარტებების გაზიარება, კერძოდ, არის შემთხვევები, როცა შემოსული წერილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაზე თავად უნივერსიტეტს ეძლევა შესრულებისთვის მოკლე დრო, მაგალითად, წერილზე რამდენიმე საათში რეაგირების მოთხოვნა. რაც იწვევს იმას, რომ კონკრეტული სამსახურები/პირები იძულებულები არიან გარკვეული ინფორმაცია თუ მონაცემები გამოითხოვონ კონკრეტული

ერთეულებისგან/პირებისგან უმოკლეს ვადებში. შესაბამისად, აღნიშნული შემთხვევების კონტროლიც რთულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის.

გამოვლენილი საყურადღებო საკითხი: არაგონივრულად განსაზღვრული სამოქმედო გეგმა

განმარტება / საპასუხო მოსაზრება: შეგახსენებთ, რომ სამოქმედო გეგმის აქტივობებს და გეგმის შესრულების ვადებს სტრატეგიული განვითარების სამსახური განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით. შესაბსამისად, კვლევის შედეგების განხილვის მიზნით ჩატარებულ შეხვედრაზე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ეთხოვათ გონივრულად განსაზღვრონ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და აქტივობების შესრულების ვადები.

2019-2020 აკადემიურ წელს დაბალი იყო ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის აქტივობა მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცესში, შესაბსამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამატებით გაზიარდა კითხვარი დაბალი აქტივობის მიზეზების დასადგენად. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დაბალი აქტივობის მიზეზებად მეტწილად დასახელდა კითხვარის შევსების ვადების გამორჩენა, დროის უკმარისობა, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში დაბალი აქტივობის მიზეზებად დასახელდა ისეთი საყურადღებო მიზეზები, როგორიცაა ეჭვი, რომ არ იქნებოდა დაცული კონფიდენციალურობა ან რომ არ მოჰყვებოდა გამოკითხვის შედეგებს რაიმე სახის რეაგირება (დეტალებისთვის დანართში #17 იხ. ანგარიში მართვის პროცესების შეფასების პროცესში დაბალი აქტივობის მიზეზების დადგენის შესახებ). აღნიშნული გამოვლენილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ადმინისტრაციულ პერსონალთან გაზიარებული უკუავშირის ტექსტში, რეაგირებების შესახებ დეტალური ინფორმაციის პარალელურად გამახვილებული იყო ყურადღება გამოკითხვის შედეგების ანონიმურობის დაცვაზე. მოხდა იმის ხაზგასმა, რომ არ ხდება მონაწილე თანამშრომლების იდენტიფიცირება და რომ გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მართვის ეფექტინობის გაუმჯობესებისა და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების გაზრდის მიზნით. ასევე, მოხდა ადმინისტრაციული პერსონალისთვის ნებისმიერი არასამუშაო კომპიუტერით კითხვარების შევსების შესაძლებლობის შეხსენება, რის შემდეგაც ტექნიკურად შეუძლებელია თანამშრომლის იდენტიფიცირება. ადმინისტრაციული პერსონალისთვის დეტალური უკუკავშირის გაზიარება, გამოკითხვის შედეგად მიღებული საყურადღებო საკითხების საპასუხოდ განხორციელებული რეაგირებების შესახებ დეტალური ინფორმაციის გაზიარებაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ადმისნიტრაციული პეროსნალის გამოკითხვის პროცესებისადმი ნდობის ამაღლებად განიხილება.

თავი 6. ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები

შექმნილი პანდემიური მდგომარეობის პირობებში, 2019-2020 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულ იქნა დოკუმენტი „ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები“. დოკუმენტი არეგულირებს ელექტრონული სწავლების მიღმა დარჩენლი სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის საკითხებს, ელექტრონული სწავლების პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ მიდგომებს, ელექტრონული სწავლების პირობებში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლო განსხვავებულ მიდგომებს, ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის, ელექტრონული სწავლების ხარისხის შეფასების, სწავლის შედეგების მიღწევის საკითხებს, ასევე, საბიბლიოთეკო რესურსების შეფასების, ელექტრონული სწავლების ტექნიკური უზრუნველყოფისა და შეფასების, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის, პეროსნალური მონაცემების დაცვის და ანგარიშგების საკითხებს. 2019-2020 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში, სწავლების პროცესის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობდა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების დოკუმენტით, ასევე, ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მიდგომების დოკუმენტით.

ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით დაშვებულ იქნა სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების მოდიფიცირება, ელექტრონულ რეჟიმში სწავლების პროცესში ჩართული სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების გამოყენება ვერ ხდება სასწავლო კურსის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელების პირობებში. აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნას სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. სასწავლო კურსის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელების დროს ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლება სწავლის მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსით დადგენილი შედეგების გამომუშავებას, ხოლო გამოყენებული შეფასების მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სათანადოდ შეფასებას. სილაბუსის ფარგლებში სწავლება-სწავლისა და შეფასების განსხვავებული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, ლექტორი მექანიზმების მიხედვით აცნობებდა ამის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და ხსნიდა ცვლილების საჭიროება. პროგრამის ხელმძღვანელებმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს 2019-2020 აკადემიური წლის

გაზაფხულის სემესტრში წარუდგინეს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ცვლილებების საჭიროებისა და იმ სასწავლო კურსების შესახებ, რომლის ფარგლებშიც დისტანციური სწავლების პირობებში გამოყენებულ იქნა შეფასების განსხვავებული მეთოდები (დეტალებისთვის იხ. დანართი #19.1 - ელექტრონული სწავლების პირობებში სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელეების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელების ანგარიშები).

აღნიშნული მექანიზმების თანახმად დისტანციურ რეჟიმში განხორციელებული სასწავლო პროცესის სათანადოდ განხორციელების შეფასების მიზნით 2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერების და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მონიტორინგის ფორმის გამოყენებით. ფორმის საშუალებითაც ხდებოდა ლექციების ჩატარების აღრიცხვა, საჭირო სასწავლო მასალების ელექტრონულ პლატფორმაზე ხელმისაწვდომობის შეფასება, ლექციის ელექტრონულ რეჟიმში მიმდინარეობის ტექნიკური გამართულობის შეფასება, სასწავლო პროცესის ინტერაქციის ხარისხის, სილაბუსთან შესაბამისობის შეფასება, ლექტორის მიერ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოყენების შეფასება (დეტალებისთვის იხ. დანართი #19.2 - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ანგარიშები, ანგარიშების ანალიზი).

მონიტორინგის ფორმაზე წვდომა მუდმივად ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მონიტორინგის ფორმით მიღებული ინფორმაცია მუშავდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. სამსახურის მხრიდან ანალიზდებოდა საყურადღებო საკითხები და ხდებოდა სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანაშრომლობით რეაგირებები სასწავლო პროცესების დახვეწისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ყველაზე ხშირად გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ, რაც ეხებოდა მუდლის პლატფორმის შესაძლებლობების, სწავლების და შეფასების მეთოდების არასრულყოფილ გამოყენებას, შედგა თანამშრომლობა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან და შემუშვდა ტრენინგ-მოდული, რომელიც ემსახურებოდა ელექტრონულ რეჟიმში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. კერძოდ, ზემოაღნიშნული მიზნით შემუშავდა ტრენინგ-მოდული „დისტანციურ პლატფორმათა მაღალეფექტური გამოყენება სწავლებისას“, რომელიც აერთიანებდა შემდეგ თემატიკას:

- დისტანციური სწავლების ინტერაქციული მეთოდები;
- Moodle-ის პლატფორმის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება;

- დისტანციურ პლატფორმებზე შეფასებისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდები;
- Zoom-ის პლატფორმის მულტიფუნქციური გამოყენება.

2019-2020 აკადემიურ წელს ელექტრონული სწავლების ხარისხიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებულ ზემოაღნიშნულ ტრენინგ-მოდულს ჯამში ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 350 პერსონალი დაესწრო.

ელექტრონული სწავლების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ხელშეწყობის მიზნით 2019-2020 აკადემიურ წელს ტრენინგ-ცენტრის მხარდაჭრით, ასევე ჩატარდა ვებინარი ევროპის უნივერსიტეტის პერსონალისთვის ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე რექტორის მიერ შემდეგ თემაზე: სილაბუსის შემუშავებისას გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი საკითხები, სილაბუსი ონლაინ სწავლების დროს. ვებინარი პროგრამის ხელმძღვანელების ინიციატივითა და პერსონალთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული საჭიროებების საპასუხოდ ჩატარდა.

ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების მიერ დისტანციური სწავლების პლატფორმაზე სწრაფად ადაპტაციისა და ციფრული რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნა მათთვის თემატური ვიდეო ტუტორიალების მომზადება, რომლებიც გაზიარდა შესაბსამის ჯგუფებთან (სტუდენტებთან, სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთან), განთავსდა ევროპის უნივერსიტეტის დისტანციური სწავლების პლატფორმაზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. კერძოდ, ცენტრის მიერ ზემოაღნიშნული მიზნით მომზადდა შემდეგი თემატური ვიდეო ტუტორიალები:

- Moodle-ის ელექტრონული პლატფორმის ტუტორიალი სტუდენტებისთვის
- Moodle-ის ელექტრონული პლატფორმის ტუტორიალები ლექტორებისთვის, კერძოდ:

  Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე ღია კითხვის ფორმის შექმნა

  Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე მრავალარჩევანიანი ტესტის შექმნა

  Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე დავალების შექმნა (რეფერატი, პროექტი, პრეზენტაცია, კაზუსი)
- Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის მოხმარების ინსტრუქცია
- Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ჩანაწერის გაკეთება drive-ზე ატვირთვა და Moodle-ის პლატფორმაზე გაზიარება
- Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით შეხვედრის ჩანიშვნა Moodle-ის პლატფორმაზე.

(დეტალებისთვის იხ. დანართი #19.7 - სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები, კერძოდ, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში ელექტრონული სწავლების პირობებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ).

ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში ასევე ახორციელებდა საგანმანათლებო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვას, სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელების შეფასებისა და ამ პროცესით მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით, შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვის შედეგად შეფასდა ლექციების მიმდინარეობა, ლექციების მიმდინარეობის ტექნიკური უზრუნველყოფა, სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციის ხარისხი, სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა და ჩართულობა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მხრიდან მხარდაჭერა. გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, შემუშავებული რეკომენდაციები გაეგზავნა ფაკულტეტის ადმინისტრაციას რეაგირებისთვის და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით (დეტალებისთვის იხ. დანართი #19.3 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგიების ანგარიშები).

ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2019-2020 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ახდენდა სტუდენტების გამოკითხვასაც, სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელების შეფასებისა და ამ პროცესით მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვის შედეგად შეფასდა ლექციების მიმდინარეობა, ლექციების მიმდინარეობის ტექნიკური უზრუნველყოფა, სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციისა და ჩართულობის შესაძლებლობა, ლექტორის მხრიდან ელექტრონული პლატფორმების გამოყენების ეფექტიანობა, ლექტორების მიერ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით გამოყენებული აქტივობები და დავალებები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა. გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, შემუშავებული რეკომენდაციები გაეგზავნა ფაკულტეტის ადმინისტრაციას რეაგირებისთვის და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით (დეტალებისთვის იხ. დანართი #19.4 - სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგიების ანგარიშები).

საგამოცდო პროცესების ელექტრონულ რეჟიმში მიმდინარეობის შეფასებისა და ამ კუთხით სტუდენტთა კმაყოფილების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2019-

2020 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ახორციელებდა გამოკითხვას აღნიშნული მიზნებისთვის მოდიფიცირებული შესაბამისი კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდა როგორც შუალედური, ისე, დასკვნითი გამოცდების შემდეგ. გამოკითხვის შედეგად შეფასდა შუალედური და დასკვნითი გამოცდების საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა და ორგანიზება, საგამოცდო პროცესების ტექნიკური უზრუნველყოფა, საგამოცდო პროცესის დაწყებამდე სათანადო ინფორმაციისა და ინსტრუქციების მიღება, დამკვირვებელთა ორგანიზებულობა, საგამოცდო განრიგი, საგამოცდო დავალებები, საგამოცდო დავალებების სასწავლო კურსის შინაარსთან და სილაბუსთან შესაბამისობა. გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შემუშავებული რეკომენაციები გაეგზავნა საგამოცდო ცენტრს რეაგირებისთვის, რეკომენდაციების გათვალისწინებისა და შესაბამისად, საგამოცდო პროცესების დახვეწის მიზნით (დეტალებისთვის იხ. დანართი 19.5 - სტუდენტების მიერ გამოცდების შეფასება, შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან ელექტრონულ ფორმატში შესრულებული საქმიანობის შეფასების, ასევე სასწავლო, საგამოცდო პროცესების მიმდინარეობის დამატებით შესწავლისა და შეფასების, სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდამჭერი ღინისძიებების, მათი ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ტრენინგების, სხვა დამხმარე მასალებით მათი უზრუნველყოფის შესწავლისა და შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად პერიოდულად გამოითხოვს შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან: საგამოცდო ცენტრი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი, ფაკულტეტი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სწორედ აღნიშნული ანგარიშების გამოთხოვის საფუძველზე მოიკვლია და დაადგინა დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტების შესახებ ინფორმაცია და მდგომარეობა. აღნიშნული კუთხით ევროპის უნივერსიტეტის მხრიდან განხორციელებული სამუშაოები სამსახურის მიერ შეფასდა დადებითად. ანგარიშის თანახმად ევროპის უნივერსიტეტის მასშტაბით ინტერნეტზე წვდომის პრობლემა 2019-2020 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტის ფარგლებში უფიქსირდებოდა 9 სტუდენტს, ხოლო კომპიუტერულ მოწყობილობაზე წვდომის პრობლემა - 5 სტუდენტს. 9 სტუდენტთან, რომლებიც არ არიან ჩართული სასწავლო და საგამოცდო პროცესში, ვერ ხერხდება დაკავშირება. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა ელექტრონული სწავლების პროცესის დაწყებისთანავე გადასცა ლეპტოპები სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე 16 სტუდენტს, დროებით სარგებლობაში, სწავლების დისტანციური რეჟიმის დასრულებამდე, რამაც განაპირობა მათი ჩართულობა სასწავლო და საგამოცდო პროცესში (დეტალებისთვის იხ. დანართი #19.6 - სტრუქტუტული ერთეულების ანგარიშები ელექტრონული სწავლების პროცესში განხორციელებული

ღონისძიებების შესახებ, კერძოდ, დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტების შესახებ ანგარიში).

თავი 7. შეფასების შედეგების გამოყენება

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების ეფექტურად გამოყენების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურს/სტრუქტურულ ერთეულს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას.

2019-2020 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასებების საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაზიარდა შესაბსამის სტრუქტურულ ერთეულებთან, სამსახურებთან. მიღებულია მათი მხრიდან განხორციელებული რეაგირებების შესახებ ანგარიშები, ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა საკითხებზე რეაგირებებია დაგეგმილი სამომავლოდ ისეთ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებითაც, რომლის განხორცილებაც შეუძლებელია მოკლე დროში. განსაზღვრულია აღნიშნული დაგეგმილი რეაგირებების განხორციელების ვადები. 2019 2020 წელს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული რეაგირებებია:

გამოკითხვის ტიპი	გამოკითხვის ჩატარების თარიღი	გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელზეც განხორციელდა რეაგირება	რეაგირებების მიზნით განხორციელებული აქტივობები	განხორციელებულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული
ელექტრონული სწავლების შესახებ კმაყოფილების კვლევა-პერსონალი (ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	01.2019 - 01.2020	აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან უკმაყოფილება გამოითქვა მეილებისა და ელ. ბაზების გაუმართაობის თაობაზე;	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყველა წევრი და აკადემიური/მოწვეული პერსონალი სარგებლობს GMAIL - ის eu.edu.ge დომეინით. თითოეული მათგანი უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დაწყებისთანავე უზრუნველყოფილნი არიან აღნიშნული მეილებით, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და მოხმარებად მეილს წარმოადგენს. სტუდენტური ბაზის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა სამსახურებთან ერთად, ფაკულტეტის დეკანატი ცდილობს მუდმივ რეჟიმში მოახდინოს ბაზების გამართულობის, ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა. ყოველი სემესტრის დასაწყისში იგეგმება აქტივობები, რომლის მიხედვითაც ხდება ბაზების ხარვეზების აღმოფხვრა და სამომავლო გაუმჯობესება. ევროპის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სერვისის მომწოდებელ კომპანიასთან, რომელიც მუდმივ რეჟიმში ცდილობს, უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით ბაზების განახლებას და გაუმჯობესებას.	ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი
ელექტრონული სწავლების შესახებ კმაყოფილების კვლევა-სტუდენტები (ბიზნესის და	01.2019 - 01.2020	1.საბიბლიოთეკო ფონდის სიმწირე; 2 . მეილების გაუმართაობა, როგორც კომუნიკაციის შემაფერხებელი ფაქტორი; 3. აუდიტორიებში	1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუდმივად ხორციელდება სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შემოწმება/განახლება/ ეგზემპლიარების დამატება. გასულ წელს ბიბლიოთეკის	ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი

ტექნოლოგიების ფაკულტეტი)		დაფის მარკერების ნაკლებობა; 4. სტუდენტური ბაზების გაუმართაობა; 5. გამოცდებს შორის შუალედის არქონა და ერთ დღეს რამდენიმე გამოცდის ჩაბარება; 6. უკვე გასწორებულ საგამოცდო ნაშრომების სტუდენტთა მხრიდან გადახედვის და დაშვებული შეცდომების გაანალიზების შესაძლებლობის არქონა;	ფონდს, ფაკულტეტისთვის დაემატა 120 ცალი წიგნი. 2. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი, ისევე როგორც ადმინისტრაციის ყველა წევრი და აკადემიური/მოწვეული პერსონალი სარგებლობს GMAIL - ის eu.edu.ge დომეინით. თითოეული მათგანი უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დაწყებისთანავე უზრუნველყოფილნი არიან აღნიშნული მეილებით; 3. მატერიალურ სამსახურთან კოორდინაციით, მუდმივ რეჟიმში ხდება აუდიტორიების დაფის მარკერებით მომარაგება, სასწავლო პროცესის სწორად და შეუფერხებლად წარმართვის მიზნით; 4. სტუდენტური ბაზის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა სამსახურებთან ერთად, ფაკულტეტის დეკანატი ცდილობს მუდმივ რეჟიმში მოახდინოს ბაზების გამართულობის, ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა. ყოველი სემესტრის დასაწყისში იგეგმება აქტივობები, რომლის მიხედვითაც ხდება ბაზების ხარვეზების აღმოფხვრა და სამომავლო გაუმჯობესება. ევროპის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სერვისის მომწოდებელ კომპანიასთან, რომელიც მუდმივ რეჟიმში ცდილობს, უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით ბაზების განახლებას და გაუმჯობესებას. 5. ფაკულტეტის დეკანატი საგამოცდო ცენტრთან კოორდინაციით მუდმივად ცდილობს საგამოცდო ცხრილის დაგეგმვაში მხარდაჭერას, რომ სტუდენტს	

			არ ჰქონდეს ჩანიშნული ორი (ან მეტი) სხვადასხვა გამოცდა ერთსა და იმავე დღეს. ვინაიდან შუალედურ გამოცდას ეთმობა მხოლოდ 1 კვირა, თუკი სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ახორციელებს სწავლებას, მაშინ არსებობს დამთხვევის ალბათობა, სხვა შემთხვევაში კი ცხრილი ისე არის ორგანიზებული, რომ გამოცდები სტუდენტს ჩანიშნული აქვს სხვადასხვა დღეს. ანალოგიური პრობლემა თითქმის საერთოდ არ გვხვდება დასკვნითი გამოცდების დაგეგმვის დროს, რადგანაც დასკვნით გამოცდებს ეთმობა 2 კვირა და საგამოცდო ცხრილის ფორმირებისას დამთხვევის ალბათობა ნაკლებია. 6. საგამოცდო ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით, სტუდენტებს დაეგზავნათ საკონსულტაციო საათების ცხრილი, სადაც სასწავლო კურსის ლექტორმა ჩაატარა საკონსულტაციო შეხვედრა საგამოცდო ნაშრომების განხილვის ფორმატში. ნაშრომების სანახავად გამოიყო ცალკე აუდიტორია და სტუდენტს ინდივიდუალურად შეეძლო ნაშრომის ნახვა. აღნიშნულ შეხვედრაზე მოხდა სტუდენტთა მხრიდან დაშვებული შეცდომების იდენტიფიცირება და განხილვა ლექტორთან ერთად. აღნიშნული განხორციელდა საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესში გაწერილი პროცედურების მიხედვით	

ელექტრონული სწავლების შესახებ კმაყოფილების კვლევა-პერსონალი (მედიცინის ფაკულტეტი)	01.2019 - 01.2020	1. უნივერსიტეტში მოქმედი პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების ლექტორებისა და სტუდენტებისათის გაცნობა; 2. ლაბორატორიებში საკმარისი რაოდენობის ხელსაწყოებისა და რეაქტივების არარსებობა; 3. შუალედური გამოცდების შემდგომი უკუკავშირი ლექტორების მხრიდან.	1 ჩატარდა ტრენინგები ლექტორებისა და სტუდენტებისათვის აკადემიური კეთილსინდისიერებასა და პლაგიატთან ბრძოლის , ''turnitin''–ის გამოყენების საკითხებზე. ჩატარდა სტუდენტური კონკურსი ,,პლაგიატი-ინტელექტულაური ქურდობა'', რომლის გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო და ყველა მონაწილეს სპეციალური საჩუქარი. 2. გაფორმდა ხელშეკრულება შპს ,,ბიოლოგიკასთან'', რომელიც უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო მასალებით მომარაგებას, ასევე პედაგოგების დატრენინგებას ლაბორატორიულ მეთოდებში. კომპანიის თანამშრომლების მიერ ჩატარდა ორ კვირიანი საჩვენებელი ლაბორატორიული მეცადინეობები ლექტორებისა და სტუდენტებისათვის. 3. 2019-20 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარდა რამდენიმე შეხედრა ლექტორებთან სადაც განხილული იყო შუალედური და ფინალური გამოცდების შემდგომი უკუკავშირის სტუდენტებისათვის მიწოდების მნიშვნელობა და აუცილებლობა. ამავე სემესტრში მოხდა შუალედურის შემდგომ კვირაში, შუალედური გამოცდებთან დაკავშირებული უკუკავშირის მიწოდება, ხოლო ფინალური გამოცდების შემთხვევაში ჩაინიშნა ლექტორების საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებთან საგამოცდო ცენტრის ორგანიზებით.	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

ელექტრონული სწავლების შესახებ კმაყოფილების კვლევა- სტუდენტები (მედიცინის ფაკულტეტი)	01.2019 - 01.2020	1. ლაბორატორიების ხელსაწყოებითა და რეაქტივებით აღჭურვა 2. სიმულაციური ცენტრის აღჭურვა მულაჟებით, მანეკენებით 3. საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება 4. უნივერსიტეტში მოქმედი პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების ლექტორებისა და სტუდენტებისათის გაცნობა 5. შუალედური გამოცდების შემდგომი უკუკავშირი ლექტორების მხრიდან 6. სტუდენტებისათვის დასაქმებისა და ექსტრაკურიკულური აქტივობების შეთავაზება	1. გაფორმდა ხელშეკრულება შპს ,,ბიოლოგიკასთან'', რომელიც უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო მასალებით მომარაგებას, ასევე პედაგოგების დატრენინგებას ლაბორატორიულ მეთოდებში. კომპანიის თანამშრომლების მიერ ჩატარდა ორ კვირიანი საჩვენებელი ლაბორატორიული მეცადინეობები ლექტორებისა და სტუდენტებისათვის. 2. არსებულ 4 სიმულაციურ ოთახს დაემატა და კიდევ 4 სიმულაციური ოთახი. რვავე ოთახი სრულად აღიჭურვა სილაბუსებით გათალისწინებული კლინიკური უნარების გამომუშავებისათის საჭირო მანეკენებითა და სიმულატორებით. 3. მედიცინის მიმართულებით შეძენილი იქნა სასწავლო პროგრამით გათალისწინებული 288 ცალი წინგი. რაც შეეხება ელ.ბაზებს, რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით, ევროპის უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა Elsevier - ის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზაში შემავალი შემდეგი ბაზები: scorpus, Sciencedirect და Funding Institutional (SciVal FundingTM). 4. ჩატარდა ტრენინგები ლექტორებისა და სტუდენტებისათვის აკადემიური კეთილსინდისიერებასა და პლაგიატთან ბრძოლის , ''turnitin''–ის გამოყენების საკითხებზე. ჩატარდა სტუდენტური კონკურსი ,,პლაგიატი- ინტელექტულაური ქურდობა'', რომლის გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო და ყველა მონაწილეს სპეციალური	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

			საჩუქარი. 5. 2019-20 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარდა რამდენიმე შეხედრა ლექტორებთან სადაც განხილული იყო შუალედური და ფინალური გამოცდების შემდგომი უკუკავშირის სტუდენტებისათვის მიწოდების მნიშვნელობა და აუცილებლობა. ამავე სემესტრში მოხდა შუალედურის შემდგომ კვირაში, შუალედური გამოცდებთან დაკავშირებული უკუკავშირის მიწოდება, ხოლო ფინალური გამოცდების შემთხვევაში ჩაინიშნა ლექტორების შეხვედრები სტუდენტებთან საგამოცდო ცენტრის ორგანიზებით. 6. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრს დაემატა თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ იქნება ჩართული უცხოელი სტუდენტებისათვის დასაქმები შესაძლებლობების მოძიებაში. შპს ,,ბიოლოგიკასთან'' გაფორმებული ხელშეკრულება, შესყიდვის დამდასტურებელი დოკუმენტები, ბიბლიოთეკის ელ. კატალოგი, https://www.eu.edu.ge/ge/news/1121-plagiatis-cinaaghmdeg-brdzola-evropis-universitetshi	

ელექტრონული სწავლების შესახებ კმაყოფილების კვლევა-პერსონალი (სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)	01.2019 - 01.2020	1. აკადემიური / მოწვეული პერსონალი ერთ-ერთ სისუსტედ საბიბლიოთეკო ფონდის სიმწირეს ასახელებენ და მისი გამდიდრების სურვილს გამოთქვამენ; 2. ელექტრონული ბაზების შეფერხებით მუშაობა;	1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუდმივად ხორციელდება სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შემოწმება/განახლება/ დამატება. გასულ წელს ბიბლიოთეკის ფონდს, ფაკულტეტისთვის დაემატა 467 ცალი წიგნი; 2. სტუდენტური ბაზის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა სამსახურებთან ერთად, ფაკულტეტის დეკანატი ცდილობს მუდმივ რეჟიმში მოახდინოს ბაზების გამართულობის, ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა. ყოველი სემესტრის დასაწყისში იგეგმება აქტივობები, რომლის მიხედვითაც ხდება ბაზების ხარვეზების აღმოფხვრა და სამომავლო გაუმჯობესება. ევროპის უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სერვისის მომწოდებელ კომპანიასთან, რომელიც მუდმივ რეჟიმში ცდილობს, უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით ბაზების განახლებას და გაუმჯობესებას.	სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ელექტრონული სწავლების შესახებ კმაყოფილების კვლევა- სტუდენტები (სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)	01.2019 - 01.2020	1. საბიბლიოთეკო ფონდში სილაბუსებით განსაზღვრული ლიტერატურის არასაკმარისი რაოდენობა; 2. უკვე გასწორებულ საგამოცდო ნაშრომების სტუდენტთა მხრიდან გადახედვის და დაშვებული შეცდომების გაანალიზების შესაძლებლობის არქონა;	1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუდმივად ხორციელდება სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შემოწმება/განახლება/ დამატება. გასულ წელს ბიბლიოთეკის ფონდს, ფაკულტეტისთვის დაემატა 467 ცალი წიგნი; 2. საგამოცდო ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით, სტუდენტებს დაეგზავნათ საკონსულტაციო საათების ცხრილი, სადაც სასწავლო კურსის ლექტორმა ჩაატარა საკონსულტაციო შეხვედრა საგამოცდო ნაშრომების განხილვის ფორმატში. ნაშრომების სანახავად გამოიყო ცალკე აუდიტორია და სტუდენტს ინდივიდუალურად შეეძლო ნაშრომის ნახვა. აღნიშნულ შეხვედრაზე მოხდა სტუდენტთა მხრიდან დაშვებული შეცდომების იდენტიფიცირება და განხილვა ლექტორთან ერთად. ეს ყოველივე განხორციელდა საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესში გაწერილი პროცედურების მიხედვით;	სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი)	01.2019 - 01.2020	•კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის გაუმჯობესება; •სტუდენტური პრაქტიკის ხელშეწყობა; •დამსაქმებელთა ბაზის შექმნა; •დამატებითი ღონისძიებების ორგანიზება (სპორტული, შემოქმედებითი, გასართობი); •სტუდენტური ინიციატივების წახალისება; •საჯარო ლექციების თემატიკის მრავალფეროვნება.	•კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის გაუმჯობესების მიზნით, მომსახურების ცენტრმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით, მოახდინა დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომელიც მოიცავდა, როგორც მათ მიერ პროგრამების შეფასებას, ასევე დასაქმების ბაზრის მოთხოვნების კვლევას იმის გავალისწინებთ, რომ დამსაქმებლები კითხვარში მიუთითებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებსაც ისინი ითხოვენ დასაქმებულისგან. კვლევა მიმდინარეობდა კითხვარების დონეზე არსებულ და პოტენციურ დამსაქმებელთან; •სტუდენტური პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით, მომსახურების ცენტრმა გააფორმა არაერთი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა კომპანიასა და ორგანიზაციასთან, სადაც სტაჟირებაზე მიავლინა სტუდენტები კარიერული კომპეტენციების ასამაღლებლად და პროფესიული პრაქტიკის მისაღებად. მედიცინის ფაკულტეტის მიმართულების გაფორმებულია 52 მემორანდუმი, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიმართულებით 52, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიმართულებით 50, აკადემიურ ინსტიტუციებთან 25, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებთან 4 მემორანდუმი. ჯამში სულ 183 მემორანდუმი. (იხ. მემორანდუმების ბაზა) •ცენტრმა გამართა შეხვედრები სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების დამსაქმებლებთან, რომლის	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის უფროსი

			ფარგლებშიც ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს. ბიზნეს ვახშმებზე ასევე განიხილა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, შედეგები, სასწავლო პროგრამები და დამსაქმებელი კომპანიების წარმომადგენლებმა გაგვიზიარეს რეკომენდაციები, ასევე დაისახა გეგმები სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობისა და მათი დასაქმება/სტაჟირების შესახებ; •სტუდენტური გუნდები აქტიურად არიან ჩართულნი სპორტულ აქტივობებში. იღებენ მონაწილეობას უნივერსიადებსა და ფესტივალებში. •მუდმივად წახალისებულია ნაკლებად აქტიური სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვა ექსკურსიების, კინოჩვენებების, სპორტული და კულტურული აქტივობების ორგანიზების კუთხით; გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდათ მომსახურების ცენტრის თითოეული სერვისის შესახებ; •შეიქმნა კურსდამთავრებულთა ასოციაცია და გაიმართა Welcome back home alumni party; •სტუდენტთა გააქტიურებისა და ექსტრაკურიკულურ ღონისძიებებში მათი მეტი ჩართულობის წახალისების მიზნით, უნივერსიტეტმა გამოაცხადა სტუდენტთა აქტივობის კონკურსი, რომლის 3 გამარჯვებულს დაენიშნება აქტივობის კონკურსის სტიპენდია; (იხ. დანართი: სტუდენტთა აქტივობის კონკურსი)	
სტუდენტის ზოგადი	01.2019 - 01.2020	•გამოკითხულთა უმრავლესობა ხაზს	საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად	საერთაშორისო ურთიერთობების

კმაყოფილების კვლევა (საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური)		უსვამს იმ ფაქტს, რომ გაცვლით პროგრამებში გამარჯვებული ყოველთვის სტუდენტთა კონკრეტული ჯგუფი ხდება, რაც მათ ობიექტურობის განცდას აკარგვინებს გამოცხადებული კონკურსის მიმართ. •გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხებით უკმაყოფილება •უნივერისტეტის მიერ შემოთავაზებული გაცვლითი პროგრამის შინაარსის შესაბამისობით უკმაყოფილება	კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად შეიცვალა კონკურსის ჩატარების წესები. თუ აქამდე შერჩევა ხდებოდა მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე, მარტის თვიდან განისაზღვრა შესარჩევი კონკურსის სამი ეტაპი: I) დოკუმენტების შესწავლა • რეზიუმე • სამოტივაციო წერილი II) ტესტირება ინგლისურ ენაში თუ სტუდენტი წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ ისეთ საერთაშორისო სერტიფიკატებს როგორიცაა IELTS, TOEFL, Cambridge, მაშინ მას არ მოუწევს ტესტის ჩაბარება. III) გასაუბრება ინგლისურ ენაზე წარმოგიდგენთ გასაუბრების შეფასების კრიტერიუმებს: (1) მოტივაცია, (2) სასაუბრო ინგლისურის ფლობა, (3) დარგობრივი ცოდნა. შესაბამისად, კონკურსის შედეგების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს წერილობითი დოკუმენტაცია (ტესტის შედეგები, რეზიუმე, სამოტივაციო წერილი) და კონკრეტული კრიტერიუმები, რომლითაც ფასება კანდიდატი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე არსებული კონკურსის ჩატარების გამარტივებულ ფორმას მხოლოდ იმიტომ მიმართავდა ევროპის უნივერსიტეტი, რომ ბიუროკრატიული დაბრკოლებებისთვის აერიდებინა თავი და გაეადვილებინა სტუდენტებისვის მონაწილეობის მიღება და შესაბამისად, გამარჯვება. ამ გზით ხდებოდა იმის გათვალისწინება, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი კარგად	სამსახურის უფროსი

			არ ფლობდა ინგლისურ ენას, რაც თავადაც დაასახელეს ერთ-ერთ დაბრკოლებად. გაცვლითი პროგრამის შინაარსის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა სპეციალური სასწავლო ხელშეკრულება (learning agreement), რომლის გაფორმებაც მოხდება სტუდენტის მობილობით გამგზავრებამდე. შესაბამისად, კურსების შესაბამისობა თავიდანვე იქნება დადგენილი და ოფიციალურად დამოწმებული, სტუდენტი კი იქნება გამგზავრებამდევე ინფორმირებული. რაც მთავარია, დაბრუნებისას სტუდენტს არ შეექმნება პრობლემები კრედიტებიც აღიარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში, მობილობისთვის შერჩეული თითოეული სტუდენტის შემთხვევაში, სასწავლო მენეჯერებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ერთმანეთს დაედარება მიმღები უნიევრსიტეტის კურსები და გამგზავნი უნივერსიტეტის ადგილობრივი საგნები; წინასწარ განისაზღვრება მიმღებ უნივერსიტეტში კონკრეტული საგნების გავლის შემდეგ, გამგზავნი უნივერსიტეტი რომელ კურსებად ჩაუთვლის მათ და რამდენ კრედიტს მიანიჭებს. დოკუმენტი ბეჭდითა და ხელმოწერით იქნება დადასტურებული სასწავლო მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის სამსახურის მიერ; ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების დონის გაზრდის მიზნით, მუდმივად იხვეწება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სტრუქტურა, დოკუმენტები და პროცედურები; ოფისში	

			დამკვიდრდა სტაჟირების პრაქტიკა და დაემატა ერთი თანამშრომელი.	
სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური)	01.2019 - 01.2020	გარე სივრცის გამწვანება	უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს გარე სივრცის კეთილმოწყობაზე, ორივე კორპუსში ჩატარდა გამწვანების სამუშაოები.	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (ბიბლიოთეკა)	01.2019 - 01.2020	•ბიბლიოთეკის აღჭურვა საკმარისი რაოდენობის ტექნიკით (კომპიუტერები); •ბიბლიოთეკაში მუშაობისათვის არასაკმარისი სივრცე; •ბიბლიოთეკის ფონდში არსებული ლიტერატურის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებთან; •საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე ხელმისაწვდომობა; •ბიბლიოთეკის მხრიდან მკითხველთა ინფორმირებულობა საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების შესახებ; •ინტერნეტის ხარისხის უზრუნველყოფა; •ბიბლიოთეკაში სასურველი წიგნის/რესურსის მოძიება; •ბიბლიოთეკაში სიჩუმის უზრუნველყოფა (ხელს უშლის ბიბლიოთეკის ხმაურიანი ცენტრალური კარი - 2 კორპუსი); •წიგნების დროულად არდაბრუნების	•ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები აღჭურვილია კომპიუტერებით, თუმცა მოთხოვნის გათვალისწინებით 2019-2020 სასწ. წლის მეორე სემესტრისთვის ემატება 4-6 კომპიუტერი; •ბიბლიოთეკის ფონდში არსებული ლიტერატურა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს; •საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები ხელმისაწვდომია; •ბიბლიოთეკის მხრიდან პერმანენტულად ხორციელდება მკითხველთა ინფორმირებულობა საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების შესახებ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ტარდება შეხვედრები და ეგზავნება შეტყობინებები ელექტრონული ფოსტის საშუალებით; •ინტერნეტის ხარისხი უზრუნველყოფილია; •ბიბლითკის სიჩუმის უზრუნველყოფასთან დაკავშრებით (ხმაურიანი კარი), როგორც კი დასრულდება სარემონტო სამუშაოები მეორე კორპუსის 7 სართულზე, განთავსდება საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული საბიბლითეკო მუშაობისათვის საჭირო ყველა რესურსი, მათ შორის მოგვარდება ხმაურიანი კარის პრობლემაც;	ბიბლიოთეკის უფროსი

		შემთხვევაში მკაცრი სანქციების დაწესება	•წიგნების დროულად არდაბრუნებასთან დაკავშირებით მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება და ქცევის წესი;	
პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური)	01.2019 - 01.2020	1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი ტარიფის პოლიტიკის შემუშავება	•სტომატოლოგიის ქართულ და ინგლისური პროგრამის განმახორციელებელი პროგრამის პერსონალის საათობრივი ტარიფების დიაპაზონის ცვლილება. •მედიცინის პროგრამის საბაზისო და კლინიკური საგნების განმახორციელებელის პროგრამის პერსონალის საათობრივი ტარიფის ცვლილება.	ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი
პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური)	01.2019 - 01.2020	მნიშვნელოვანია უმოკლეს დროში გადაიდგას ნაბიჯები ტექნოლოგიური რესურსების სრულყოფისა და გამართვის მიზნით;	მოხდა მატერიალური ტექნიკის (კომპიუტერები, პროექტორები) განახლება. დაწესებულებამ შეიძინა სერვერი და მოხდა კომპიუტერების გაერთიანება დომენში. აღნიშნული ემსახურება სისტემისა და პირადი მონაცემების დაცვას. განახლდა სტუდენტური ბაზა და ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს ახალ ბაზაზე გადასვლა.	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი

შუალედური გამოცდით კმაყოფილების კვლევა (საგამოცდო ცენტრი)	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. საგამოცდო ცხრილის დროული განთავსება და ხელმისაწვდომობა სტუდენტურ ბაზებში 2. დამკვირვებელთა ქცევის კონტროლი 3. საგამოცდოდ განკუთვნილი დრო 4. გამოცდიდან გამოცდამდე არსებული შუალედი	1. საგამოცდო ცხრილები საუნივერსიტეტო ბაზაში განთავსდა გამოცდებამდე 2 კვირით ადრე 2. შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, დამკვირვებლებად შეირჩა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებსაც ჩაუტარდათ სათანადო ტრენინგები 3. საგამოცდო ნაშრომების შესრულებისთვის განსაზღვრული დროები გადამოწმდა და საბოლოო ფორმით დადასტურდა საგნის ლექტორების მხრიდან 4. შუალედური გამოცდებისთვის განკუთვნილი იყო 2 კვირა, შესაბამისად საგამოცდო ცხრილის მიხედვით შესაძლებელი გახდა გონივრული შუალედი ყოფილიყო გამოცდიდან გამოცდამდე დროის მონაკვეთში.	საგამოცდო ცენტრის უფროსი
ხარისხის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი)	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებს დასაქმებასთან დაკავშირებით შეტყობინება არ მიუღიათ. სტუდენტებმა დააფიქსირეს დასაქმების სურვილი.	1. მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებს პროგრამის შესაბამისი ვაკანსიები ეგზავნებათ როგორც მეილებზე, ისე სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში. ასევე, ცენტრმა ქართველ და უცხოელ სტუდენტებს გაუზიარა ინფორმირების, საჭიროებისა და კმაყოფილების კითხვარები და იკვლია კონკრეტული საკითხები, რომლებსაც მომავალი აქტივობების დაგეგმვისას აუცილებლად გამოიყენებს.	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის უფროსი

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება (ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	გამოკითხვის შედეგად მნიშვნელოვანი სისუსტეები არ გამოვლენილა. ხშირად დაფიქსირებულ მოსაზრებებს შორის იყო ლექტორის მიერ საგნის წარმართვის საკითხები: - ლექტორი ახდენს არასწორ კომუნიკაციას სტუდენტებთან; - ლექტორს არ აქვს გადმოცემის უნარი , ვერ ახდენს სტუდენტთა საგნით დაინტერესებას; - ლექტორი მასალას ხსნის 5 წუთში, რაც სტუდენტისთვის არაფრის მომცემია. მას აქვს უპასუხიმსგებლო დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ.	ლექციის მიმდინარეობის მონიტორინგი რათა გამოიკვეთოს ზემოთ აღწერილი საკითხები: - ყოველდღიურად ლექციის დროულად ჩატარების მონიტორინგი - დეკანის მხრიდან კვირაში ერთხელ ლექციების მონიტორინგი - სემესტრის დასაწყისში განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრა და მათთვის სასწავლო პროცესის წარმართვის შესახებ ინფორმაციის გაზიარება - ლექტორების გადამზადება სასწავლო პროცესის დაგეგმვის და პლატფორმა Moodle-ს გამოყენებაში.	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრი, ფაკულტეტის დეკანი
აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება (სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	ლექტორი არ ითვალისწინებს სტუდენტების მდგომარეობას, სამსახურს და დატვირთულ რეჟიმს. არ უსმენს სტუდენტებს და არ ინტერესდება მათი პრობლემებით;	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრების ციკლი სტუდენტებთან და ლექტორებთან, სადაც მაქსიმალურად იქნა წამოჭრილ პრობლემებზე მსჯელობა და ერთად იქნა მიღებული გადაწყვეტილება კონკრეტულად დასმულ საკითხებთან მიმართებაში.	სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება (მედიცინის ფაკულტეტი)	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	სასურველია, პრეზენტაციები უფრო გამართულად ჩატარდეს ლექტორის მხრიდან, დაიხვეწოს სწავლების მეთოდების გამოყენება;	1. 2020-21 სასწავლო წლის დაწყებამდე ჩატარდა შეხვედრები დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის პროგრამის განმახორციელებელ ყველა პედაგოგთან, რომლებიც მიმდინარე სემესტრში არიან ჩართულები. შეხვედრებს ესწრებოდა ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის მენეჯერი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. საბოლოო ჯამში ჩატარდა 20 მდე შეხვედრა სასწავლო კურსების მიხედვით, სადაც დეტალურად იქნა განხილული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. კერძოდ, სილაბუსით გათვალისწინებული სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა, სასწავლო ბაზაში ქულების ატვირთვის და ონალინ პლათფორმებზე სასწავლო რესურსების განთავსების საკითხი და ა.შ.	
აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება (მედიცინის ფაკულტეტი)	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	ლექტორმა არ იცის როგორ გადასცეს ცოდნა სტუდენტს; ლექტორს არ აქვს გადმოცემის უნარი, სწრაფად ხსნის მასალას, შესაბამისად, ძირითადი საკითხები სტუდენტებისთვის გაუგებარი რჩება; ლექტორი საკითხის მიღმა სვამს კითხვებს, რაც აბნევთ სტუდენტებს;	პროგრამის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის მიერ ხდება ონლაინ ლექციებზე დასწრება. სხვადასხვა კუთხით შემომებასთან ერთად, ხორციელდება იმის მონიტორინგიც, რომ განხილული თემატიკა შესაბამისობაში იყოს სილაბუსთან.	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

დასკვნითი გამოცდების თაობაზე კვლევა	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. საგამოცდო დროის სიმცირე და საგამოცდო საკითხების სილაბუსთან შესაბამისობის სიზუსტე 2. სისტემაში არსებული ტექნიკური ხარვეზები	1. დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე, შედგა აქტიური კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელებთან. მათ გამოცდამდე გამოითხოვეს საგამოცდო ტესტები საგამოცდო ცენტრის მხრიდან და მოახდინეს მათი, როგორც თავსებადობის დადგენა სასწავლო კურსის სილაბუსთან, ასევე შეაფასეს საგამოცდო საკითხების რელევანტურობა და მათი შესრულებისთვის გამოყოფილი დროის ადეკვატურობა. 2. შუალედური გამოცდებისას გამოიკვეთა სისტემაში გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რაც დაკავშირებული იქნა მუდლის გადატვირთვასთან. შესაბამისად შეიქმნა მუდლზე ცალკე საგამოცდო პლატფორმა, რამაც შესაძლებელი გახადა საგამოცდო პროცესის ტექნიკურად ნაკლები ხარვეზებით წარმართვა	საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი
ორგანიზაციული კვლევა	01.2019 - 01.2020	თანამშრომლების მოტივაცია, მათი ანაზღაურების შესაბამისობა დაკისრებულ პასუხისმგებლობასთან და საქმის მოცულობასთან	საწყის ეტაპზე გადაიხედა სასწავლო პროცესის მენეჯერის ყოველთვიური ანაზღაურება, რის შემდეგაც გამოიკვეთა, რომ კოლეგებისგან განსხვავებული ანაზღაურება ჰქონდა. შესაბამისად მოხდა რეაგირება და ანაზღაურების გაზრდა.	ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი

ორგანიზაციული კვლევა	01.2019 - 01.2020	ქართულ ბაზარზე აქტიურობა	ქართულ ბაზარზე გააქტიურების მიზნით, ჩატარებულია პიარ აქტივობები, ტელევიზიის და მედიის საშუალებით აქტიურად შუქდება ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ, ა) უნივერსიტეტის შეთავაზებების და პროგრამების შესახებ წამყვან არხებზე მინიმუმ კვარტალში ერთხელ შუქდება ინფორმაცია; ბ) მონაწილეობა მივიღეთ განათლების გამოფენაში, სადაც 20 000 მდე სკოლის მოსწავლე იღებდა მონაწილეობას; უნივერისტეტმა „ვიზიტორების არჩევანი“ სიგელი მოიპოვა. გ) იგეგმება უფრო აქტიურად უნივერსიტეტის ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების სოციალურ ქსელში გავრცელება;	საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახური
ორგანიზაციული კვლევა	01.2019 - 01.2020	კონდენციონერების დამატება	საჭიროებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ კორპუსში მოხდა ახალი კონდინციონერების შეძენა და მონტაჟი, რაც შეეხება მედიცინის ფაკულტეტის კორპუსს, მე-6 და მე-7 სართულზე არსებული ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მონტაჟის გამო დროებით არ ფუნქციონირებდა გაგრილების სისტემა, ამასთან, პანდემიის გამო, არც იყო მიზანშეწონილი საერთო გაგრილების სისტემის ფუნქციონირება	შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური
ორგანიზაციული კვლევა	01.2019 - 01.2020	ადამიანური რესურსის სიმცირე	ადამინური რესურსების სიმცირის გათვალისწინებით გამოცხადდა სტაჟირება საგამოცდო ცენტრში	საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი

ორგანიზაციული კვლევა	01.2019 - 01.2020	გასაძლიერებელია ტექნიკა, რათა შესაძლებელი იყოს დიდი მოცულობის ფაილებთან მუშაობა.	შეძენილია SSD ვინჩესტერები და ეტაპობრივად მიმდინარეობს კომპიუტერების გაძლიერება. უნივერსიტეტის ბალანსზე არსებულ All in One ტიპის კომპიუტერებს აქვთ სუსტი მყარი დისკები და შესაბამისად საგრძნობლად ნელა მუშაობდა. ამ ეტაპისათვის უკვე ჩანაცვლებულია 15 კომპიუტერზე მყარი დისკები SSD დისკებით, რომელიც დაახლოებით 10-ჯერ უფრო სწრაფია ძველ ანალოგებთან.	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური
ორგანიზაციული კვლევა	01.2019 - 01.2020	1. ორგანიზაციის მართვის პროცესების ხარისხის შეფასების კითხვარში, სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის შესახებ დასმული შეკითხვა მოცემული ფორმულირებით არ იძლევა ზუსტი პასუხის გაცემის შესაძლებლობას, რადგან სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კომუნიკაციის ხარისხი განსხვავებულია.	1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან კიდევ ერთხელ გადაიხედა ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კითხვარი. შეკითხვაზე, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის საკითხს, მიეთითა ზუსტი ჩამონათვალი უნივერსიტეტში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულისა, რათა შემფასებლის მხრიდან კითხვარის შევსებისას, დაზუსტდეს, თუ რომელ ერთეულთან კომუნიკაციას აფასებს უარყოფითად ან დადებითად. ასევე შემფასებელს მიეცემა შესაძლებლობა მიუთითოს, თუ რომელ სტრუქტურულ ერთეულთან საერთოდ არა აქვს შეხება.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის დეკანის კოორდინაციით, გადაიხედოს რამდენად შესაძლებელია ზეპირი გამოკითხვებში გარკვეული შეფასებების დაწერა;	1. ახალი პროგრამის სილაბუსების უმეტესობაში ზეპირი გამოკითხვა ჩაიდო, როგორც შეფასების კრიტერიუმი და მიენიჭა 2 ქულა.	სტომატოლოგიის (ინგლ.) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	2. ლექტორების მხრიდან სასურველია კიდევ ერთელ გადაიხედოს დასკვნითი გამოცდისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა;	2. ახალი პროგრამის ფარგლებში თითო საათით გაიზარდა შუალედური და დასკვნითი გამოცდების ხანგრძლივობა.	სტომატოლოგიის (ინგლ.) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის დეკანის კოორდინაციით, გადაიხედოს რამდენად შესაძლებელია ზეპირი გამოკითხვებში გარკვეული შეფასებების დაწერა;	1. ახალი პროგრამის სილაბუსების უმეტესობაში ზეპირი გამოკითხვა ჩაიდო, როგორც შეფასების კრიტერიუმი და მიენიჭა 2 ქულა.	სტომატოლოგიის (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	2. ლექტორების მხრიდან სასურველია კიდევ ერთელ გადაიხედოს დასკვნითი გამოცდისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა;	2. ახალი პროგრამის ფარგლებში თითო საათით გაიზარდა შუალედური და დასკვნითი გამოცდების ხანგრძლივობა.	სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. სასურველია პრაქტიკა მოიცავდეს სტუდენტთა წარგზავნას სხვადასხვა ორგანიზაციაში, სადაც ისინი გაეცნობიან პრაქტიკაში მათი პროფესიის სპეციფიკას და გახდებიან პროცესის ერთგვარი თანამონაწილენი;	1. ახალი პროგამიდან პრაქტიკა საერთოდ ამოღებულია, როგორც საგანი, სწორედ იმის გამო, რომ ასეთი არასწორი ფორმით ტარდებოდა აქამდე და რომ იმისთვის რომ სათანადოდ იყოს პრაქტიკა შეთავაზებული, ჯერ უნდა საერთოდ პრაქტიკის ინსტიტუტი იყოს განვითარებული ქვეყანაში. ჩვენთან სამართლებრივად არ რეგულირდება პრაქტიკა და ამიტომ შედეგებზე გასვლის მხრივ, ძალიან რთული იქნებოდა ამის ადმინისტრირება. გადავწყვიტეთ, რომ ტყუილად მათი დროის და კრედიტების ფლანგვას, მივცეთ ცოდნა, მათ შორის პრაქტიკული საგნებით, რომელზიც მრავლადაა პროგრამაში წარმოდგენილი.	საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	2. სასწავლო კურსის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად გადაიხედოს საგამოცდოდ გათვლილი დრო;	2. საგამოცდო დროს რაც შეეხება, ამას ინდივიდუალურად განსაზღვრავენ ლექტორები, სილაბუსის შესაბამისად. ამ მხრივ უნივერსიტეტი არ ერევა და აკადემიურ თავისუფლებას ამლევს, მაგრამ თუ პრობლემა მართლა არსებობს, მაშინ იქნებ ხარისხის სამსახურმა გადახედოს თავის მიდგომას და უნივერსიტეტის მასშტაბით ან პროგრამებზე მაინც დავაწესოთ სტანდარტი, თუ რამდენ საათიანი უნდა იყოს გამოცდები (შუალედური და დასკვნითი). არ ვიცი ეს რამდენად არის ჩემი კომპეტენცია. მზად ვარ მონაქილეობა მივიღო ამ პროცესში	საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	3. დროულად მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება პროგრამაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე;	3. როგორც წესი, სტუდენტებთან კომუნიკაციის პრობლემა არ არის, ამიტომ ზუსტად არ ვიცი ამ პუნქტში რა იგულისხმება, თუმცა შეგვიძლია შემაჯამებელი შეხვედრაც ჩავნიშნოთ სემესტრის ბოლოს, სადაც სტუდენტებთან ერთად პროგრამის შინაარსაც გავუვლიდით (უკვე აკრედიტაციისთვის გამზადებულ პროგრამას გავაცნობდით, კურიკულუმსაც ვაჩვენებდით).	საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	4. მოხდეს სტუდენტთათვის გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, მათ შორის თუ რაკრიტერიუმებით ხდება სტუდენტთა შერჩევა ან რა ეტაპების გავლა უწევთ მათ გაცვლით პროგრამაში	4. აღნიშნული ინფორმაცია უკვე მომზადდა და დევს ევროპის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. სასურველია, რომ საერთაშორისო ურთეირთობების სამსახურს ჰქონდეს უნივერსიტეტის სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ პირდაპირი არხი, მაგრამ ასეთი არ არსბეობს. აქედან გამომდინარე, ჩვენ როგორც კი ეს წესები შევუმუშავეთ, დავდეთ საიტზე და სტუდენტური სამსახურის დახმარებით უშუალო ინფორმაციის გავრცელება მოხდება მაშინ, როდესაც მობილობა იქნება შესაძლებელი. ახალი სამსახურის ფარგლებში პირველი მოვილობა უწევდა შემოდგომის სემესტრში, რომელიც კორონა ვირუსის გამო გადაიდო. ინფორმაციის გავრცელებამდე და კონკურსის ჩატარებამდე საქმე, შესაბამისად, არ მისულა. როგორც კი სიტუაცია დასტაბილურდება და საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობა გაჩნდება, აუცილებალდ ყველა არცის გამოყენებით მივაწვდით ხმას სტუდენტებს (იქნება ეს ადამიანური რესურსების განვითარების სამსახურის მეშვეობით, სასწავო პროცესის	საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

			მენეჯერებისა თუ სტუდენტბური მომსახურების ოფისისა).	
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. საკითხი, რომლებიც ეხება ლექტორებთან კომუნიკაციასა და ლექციების გადატანას. 2.ინფორმაცია საკლასო ჟურნალების წარმოებასთან დაკავშირებით.	1. მოხდა ლექტორების ინფორმირება სტუდენტების პრეტენზიების თაობაზე. 2. ჩატარდა მასტერ-კლასი, რომელსაც ძალიან დადებვბითი გამოხმაურება მოყვა.	მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	"1. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გამო, სტუდენტებს რიგი სასწავლო კურსები არ უღიარდათ და კრედიტების დანაკლისის შევსება სხვა სასწავლო კურსების გავლით გახდა შესაძლებელი 2. საგამოცდო შედეგები სტუდენტურ ბაზებში გვიან აისახება"	1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ძირეული ცვლილებები განხორციელდა მისი რეაკრედიტაციის პერიოდისთვის. ცვლილებების განხორციელების შესახებ ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, რომელსაც პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და სასწავლო პროცესის მენეჯერი ესწრებოდა, სადაც სტუდენტებს დეტალურად გაეცნოთ ახალი პროგრამა და მიეწოდათ ინფორმაცია განვლილი სასწავლო კურსებიდან კრედიტების აღიარების თაობაზე. მათთვის განისაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც მისაღები აღმოჩნდა სტუდენტებისთვის 2. საგამოცდო ნაშრომების გასასწორებლად ლექტორებს განსაზღვრული აქვთ 5 სამუშაო დღე. მათი მხრიდან შეფასებების ამ ვადაში წარმოდგენის შემდეგ, ქულები აისახება შიდა საუნივერსიტეტო ბაზებში.	ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	სტუდენტთა სურვილია, რომ პროგრამა გაძლიერდეს და გაჯერდეს პრაქტიკული ელემენტებით, რაც სამომავლოდ მათ სამსახურის მოძიების პროცესს გაუადვილებს;	სამართლის საბაკალავრო პროგრამა რეაკრედიტაციის ფარგლებში მნიშვნელოვნად იქნა გაჯერებული პრაქტიკული კურსებით. საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა სავალდებულო პრაქტიკის ელემენტი, რომელსაც სტუდენტები გაივლიან დამამთავრებელ კურსზე. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამას დარგობრივ მოთხოვნებთა შესაბამისობის მიზნით დაემატა სასწავლო კურსი კონსტიტუციური სამართალწარმოება. ასევე დაიწყო მოლაპარაკებები სხვადასხვა პრაქტიკის ობიექტებთან და მემორანდუმის დრაფტი შეიცვალა სადაც ინტეგრირებულია პრაქტიკის ელემენტები და დეტალურად არის გაწერილი ნაბიჯები. მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე დაწყებული მოლაპარაკებები, რომელიც პარლამნეტში არსებული სტაჟირების პროგრამაზე სტუდენტების მივლინებას გულისხმობს, რისთვისაც უნივერსიტეტი ადგილზე გადაამზადებს სტუდენტებს და ჩაუტარებს შიდა გამოცდას და ფასილიტაციას გაუწევს შემდგომი სტაჟირების შესაძლებლობის კუთხით.	სამართლის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. კომუნიკაცია საგამოცდო პროცესის დამკვირვებლებთან; 2. გათვალისწინებული იქნას ტექნიკური თუ შინაარსობრივი პრობლემები, რომლებიც სტუდენტებმა დააფიქსირეს შუალედური გამოცდების მსვლელობისას და კიდევ ერთხელ გადაიხედოს დასკვნითი გამოცდისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა; 3. მჭიდრო კომუნიკაცია ლექტორებთან, რათა კითხვების იყოს თანაბარ სირთულიანი ყველა სტუდენტისთვის;	1. მოხდა კომუნიკაცია საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლებთან და კიდევ ერთხელ განემარტათ გამოცდაზე დაკვირვების წესები; 2. ყველა ლექტორთან მოხდა ინდივიდუალური კონტაქტი და აგრეთვე მეილების გაგზავნა, რათა გათვალისწინებული იქნეს დასკვნითი გამოცდისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა. 3. ლექტორებს კიდევ ერთხელ მიეწოდათ ინფორმაცია გამოცდების კითვების საშუალო და თანაბარი სირთულის შესახებ.	დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმღვანელი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება პროგრამის შინაარსობრივ აღწერილობაზე, კრედიტების განაწილება და სავალდებულო/არჩევითი საგნების მიმართულებით; 2. სტუდენტებისათვის სტიპენდიის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება	1. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა განახლდა 2019 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში, ამავე პერიოდში სტუდენტების გამოკითხვის პროცესში ჩართულობისათვის მოხდა ინფორმაციის გამოთხოვა სასწავლო პროცესის მენეჯერებისგან სტუდენტების ელექტრონული საფოსტო მისამართების შესახებ, შედეგად, ყველა აქტიურ სტუდენტს ელექტრონულ ფოსტაზე გადაეგზავნათ განახლებული პროგრამა და სასწავლო გეგმა, ამის შემდეგ ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერებისგან მოხდა გამოთხოვა სტუდენტების საკონტაქტო მობილური ნომრების, ყველა მათგანთან პირდაპირი კომუნიკაციის შემდეგ განახლებული პროგრამა და სასწავლო გეგმა მათ გადაეგზავნათ აქტიურ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე, რადგან ზოგიერთ მათგანს უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტასთან არ ჰქონდა წვდომა. 2. უნივერსიტეტში ჩარიცხულ ყველა სტუდენტს აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში უნივერსიტეტი მათ უნიშნავს სტიპენდიას. სემესტრის ბოლოს ერთიანი რეიტინგული სიების შედეგად გამოვლინდება სტიპენდიის მქონე სტუდენტები.	ფსიქოლოგიის საბაკლავრო პროგრამის თანახელმძღვანელი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრები სტუდენტებთან	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებს პროგრამის შესაბამისი ვაკანსიები ეგზავნებათ როგორც მეილებზე, ისე სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში. ასევე, ცენტრმა ქართველ და უცხოელ სტუდენტებს გაუზიარა ინფორმირების, საჭიროებისა და კმაყოფილების კითხვარები და იკვლია კონკრეტული საკითხები, რომლებსაც მომავალი აქტივობების დაგეგმვისას აუცილებლად გამოიყენებს. დაბალ კურსელი სტუდენტები არ ფლობენ ინფორმაციას სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ხელშეწყობის ცენტრის და ფსიქოლოგიის ცენტრის შესახებ და	-	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის უფროსი

ელექტრონული სწავლებით კმაყოფილება-ლექტორები (ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. zoom-ის პლატფორმაზე არსებული ლიმიტის გამო ლექციის წყვეტასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები. 2. მოახლოებული შუალედური გამოცდების მიმართულებით რეკომენდაციების გაწევა ლექტორებისთვის. 3. ლექციებზე სტუდენტთა დაბალი დასწრების მაჩვენებლის გაუმჯობესება.	1. გამომდინარე იქედან, რომ ლექტორების მხრიდან ხშირად გამოითქვა პრეტენზია ზუმის პლატფორმის წუთობრივი ლიმიტის არსებობის თაობაზე, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორისა, სალექციო მსვლელობის დროს, ამიტომაც უნივერსიტეტმა ალტერნატივის სახით შესთავაზე ლექტორებს სხვა მსგავსი პლატფორმის (meet google) გამოყენება, რომელსაც არ აქვს წუთობრივი ლიმიტები და შეზღუდვები. დაინტერესების შემთხვევაში, ლექტორებს გაეცნოთ შედარება ამ ორ პლატფორმას შორის, თუ რა დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები გააჩნია თითოეულ მათგანს და იმ შემთხვევაში, თუკი ლექტორი უპირატესად მიიჩნევს მეორე პლატფორმის გამოყენებას, უნივერსიტეტი არ უწესებს შეზღუდვას ამ კუთხით. 2. თითოეულ ლექტორს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გაეგზავნა შეტყობინება იმის თაობაზე თუ რა მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა moodle-ს პლატფორმა გამოცდების ჩატარებისას და ეთხოვათ დადასტურება, თუ რამდენად იყო გამოსადეგი ეს რესურსი იმ მეთოდების გათვალისწინებით, რომელიც შუალედურ გამოცდებზე აქვთ გაწერილი თითოეულ მათგანს საგნის სილაბუსის მიხედვით. გაკეთდა ჩამონათვალი იმ სასწავლო კურსებისა, რომელშიც შუალედური გამოცდების ჩატარების შესაძლებლობას moodle-ს პლატფორმა ვერ იძლეოდა. სია მიწოდებულ იქნა საგამოცდო ცენტრისთვის შესაბამისი რეაგირებების განსახორციელებლად. 3. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მენეჯერის მხრიდან	ფაკულტეტის დეკანი

			სტუდენტებთან გაიგზავნა შეტყობინე და მათ კიდევ ერთხელ ეცნობოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლექციებზე დასწრება და ჩართულობა შემდგომი დადებითი შეფასებების მიღების მიზნით და რასაკვირველია სასწავლო კურსში დადებითი შეფასების მიღებისთვის. აღნიშნულ საკითხს ხაზი გაესვა სტუდენტებთან ონლაინ შეხვედრის დროსაც, რომელის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურისა და ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა.	
ელექტრონული სწავლებით კმაყოფილება- ლექტორები (სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)	2019-2020 წლის გაზაფხულ ის სემესტრი	-	-	
ელექტრონული სწავლებით კმაყოფილება- ლექტორები (მედიცინის ფაკულტეტი)	2019-2020 წლის გაზაფხულ ის სემესტრი	1. ონლაინ სწავლების დროს ადგილი აქვს ტექნიკური ხარვეზებს (ვიდეო კამერის და მიკროფონის კონტროლი, ზუმის შეხვედრების პაროლი).	1. ყველა პედაგოგი, რომელიც მიმდინარე სემესტრში ჩართულია სასწავლო პროცესში დატრენინგდა ტრენინგ ცენტრის მიერ ონლაინ პლათფორმების გამოყენებაში. სტუდენტების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, დამატებით შეტყობინებები გაიგზავნა ყველა ლექტორთან აღნიშნულ საკითებთან დაკავშირებით, ასევე კონკრეტულ შემთხვევებში მოხდა ლექტორებთან ინდვიდუალურად დაკავშირება და ხარვეზების გამოსწორება	ფაკულტეტის დეკანი

ელექტრონული სწავლებით კმაყოფილება-სტუდენტები (ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. იმ სტუდენტთა ინტერესის გათვალისწინება, ვინც აცხადებს, რომ მუდმივი წვდომა არა აქვთ ინტერნეტთან და ლექციაზე დასწრებისთვის საჭირო პირობები არ გააჩნიათ. 2. სტუდენტთა სურვილი, რომ საგამოცდო პროცესის ოპტიმალური სახით წარმართვისთვის გათვალისწინებული იყოს მათი ინტერესები. 3. განვლილი მასალის სტუდენტებისთვის მიწოდება რაიმე სახით. 4. სტუდენტებთან ონლაინ შეხვედრების დაორგანიზება და პირადად მათგან აზრის მოსმენა.	1. ევროპის უნივერსიტიტის ადმინისტრაციამ ყველა ფაკულტეტთან მიმართებაში განახორციელა ერთიანი მიდგომა ამ საკითხისადმი და იმ სტუდენტთა ინტერესის გათვალისწინებით, ვინც აცხადებს, რომ მუდმივი წვდომა არა აქვთ ინტერნეტთან და ლექციაზე ყოველდღიურ რეჟიმში დასწრებისთვის საჭირო პირობები არ გააჩნიათ, კეთდება ყოველი ლექციის ვიდეოჩანაწერი, რომლის გაზიარებაც ხდება სტუდენტებისათვის moodle პლატფორმაზე. აღნიშნული ჩანაწერი საშუალებას აძლევს სტუდენტს, რომელიც გარკვეული მიზეზით ვერ დაესწრო ლექციას (და არამარტო მას) გაეცნოს განვლილი მასალის თაობაზე სალექციო ჩანაწერს და არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ერთიან ჯაჭვს. 2. ევროპის უნივერსიტეტის მიერ შემუშავდა ელექტრონული სწავლების პერიოდში საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი, რომლითაც განისაზღვრა ელექტრონული სწავლების განმავლობაში საგამოცდო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ წესები და პირობები. მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული სტუდენტთა ინტერესები დისტანციური სწავლების პირობებიდან გამომდინარე. აღნიშნულ წესში სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით გაჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გამოეთიშება საგამოცდო პროცესს და 5 წუთის განმავლობაში ვერ შეძლებს ელექტრონულ პლატფორმაზე დაბრუნებას, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, იგი ვალდებულია	ფაკულტეტის დეკანი

			აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საგამოცდო ცენტრის შესაბამის თანამშრომელს/დამკვირვებელს და წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი/სურათი და სხვ. საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად განიხილავს ასეთ შემთხვევებს და დეკანთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას განმეორებითი გამოცდის ჩატარების შესახებ. ვინაიდან თავდაპირველი გადაწყვეტილებით სტუდენტს აუცილებლად უნდა ჰქონოდა აუდიო და ვიდეო სისტემით გამართული ლეპტოპი ან პერსონალური კომპიუტერი, ამან გამოიწვია სტუდენტთა უკმაყოფილება, რადგანაც მათი დიდი ნაწილი მობილური ტელეფონების გამოყენებით მიჰყვებოდა სალექციო პროცესს. შეიკრიბა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და მოხდა მაქსიმალურად ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება აღნიშნულ შეხვედრაზე, რაც მეტნაკლებად ყველა სტუდენტს შეუწყობს ხელს საგამოცდო პროცესში მონაწილეობის მიღებაში. კერძოდ, შუალედურ გამოცდას ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტები დაწერენ ფურცელზე, ისინი დაიყოფიან 30-40 კაციან ჯგუფებად, დამკვირვებელი მოახდენს დაკვირვებას და მათ აღრიცხვას, ეკრანზე გაზიარდება საკითხები. სტუდენტები შეასრულებენ ნაშრომს ფურცელზე და გადმოაგზავნიან სპეციალურად განკუთვნილ მეილზე. მეილზე გადმოგზავნილი ნაშრომები დაჯგუფდება, დაიშიფრება და გადაეგზავნებათ ლექტორებს შესამოწმებლად. აქედან	

			გაომდინარე, ამ პროცესში სტუდენტს მონაწილეობის მიღება მობილური ტელეფონის გამოყენებითაც შეუძლია. 3. განვლილი მასალის სტუდენტებისთვის მიწოდების საკითხს აწესრიგებს სალექციო პროცესის ვიდეოჩანაწერების განხორციელება. კერძოდ კი, კეთდება ყოველი ლექციის ვიდეოჩანაწერი, რომლის გაზიარებაც ხდება სტუდენტებისათვის moodle პლატფორმაზე. 4. ჩატარებულ გამოკითხვებში სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირდა სურვილი შეხვედრის განხორციელების უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის, დეკანატის, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელებისა და საგამცოდო ცენტრის ჩართულობით გაიმართა შეხვედრა სტუდენტებთან. პასუხი გაეცა მათი მხრიდან დასმულ შეკითხვებს და ასევე ეცნობათ დეტალები დაგეგმილი შუალედური გამოცდების თაობაზე.	
ელექტრონული სწავლებით კმაყოფილება-სტუდენტები (სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)	2019-2020 წლის გაზაფხულ ის სემესტრი	1. გამოკითხული სტუდენტების უმეტესების პრობლემად დასახელდა ონლაინ ლექციებზე დასასწრები პირობები (ინტერნეტის არ ქონა, კომპიუტერის არ ქონა). 2. ლექტორებს არ რჩება საკმარისი დრო სტუდენტთა გამოკითხვისთვის. რიგ შემთხვევებში moodle აგდებს სტუდენტს სისტემიდან ლექციის	1. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მიმდინარე სემესტრში არსებული აქტიური საგნების ლექტორებთან გაიგზავნა საერთო მეილი, სადაც ლექტორებს დაევალათ მუდლის პლათფორმაზე ყველა ინფორმაციის და სალექციო მასალის იმპორტირება . 2. ლექტორებს დაევალათ ლექციის ჩაწერა და ჩაწერილი ლექციის ატვირთვა დრაივზე, იმისათვის რომ სტუდენტებს რომელთაც არ აქვთ ონლაინ რეჟიმში ლექციებზე წვდომის შესაძლებლობა ე.წ „ოფლაინ“ რეჟიმში შეძლონ ლექციის მოსმენა.	ფაკულტეტის დეკანი

		მიმდინარეობისას. სტუდენტები ასახელებენ იმასაც, რომ ხდება მხოლოდ თეორიული მასალის ათვისება და არა პრაქტიკული ელემენტების განვითარება. სტუდენტები სასურველი შედეგების მიღწევის შემაფერხებელ ფაქტორად სტუდენტთა სიმრავლესაც ასახელებენ ჯგუფებში, რაც მათი თქმით ერთგვარ ქაოსს იწვევს. 3. ტექნიკური აღჭურვილობის არ ქონა 4. ტექნიკურ შეფერხებებს კუთხით უმეტესი ნაწილი ინტერნეტის პრობლემას და ზუმში ხმის წყვეტას, ასევე სტუდენტთა ნაწილი, ზუმის ლიმიტირებული დროის გამო შექმნილ დისკომფორტს ასახელებს. 5. სტუდენტთა ნაწილი ითხოვს დამატებით კონსულტაციას იმ სტუდენტებთან, ვისაც უჭირთ ტექნიკასთან ადაპტაცია და საჭიროებენ დამატებით კონსულტაციებს. ასევე ითხოვენ ონლაინ რეჟიმში შეხვედრას, რომ მოხდეს მათი აზრის დაფიქსირება და შეკითხვებზე პასუხების მიღება	3. ფაკულტეტის ყველა პროგრამაზე პროგრამის ხელმძღვანელებთან კოორდინაციით ჩატარდა კომიტეტების შეხვედრები სადაც კომიტეტის წევრებს გადაუნაწილდათ მათი კომპეტენციის სფეროდან გამომდინარე საგნები რომლის მონიტორინგიც დავეალათ. 4. პროგრამის ხელმძღვანელებთან კოორდინაციით ჩატარდა ლექტორებთან შეხვედრა პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით. 5. თითოეულ ლექტორთან განხორციელდა არაერთი ინდივიდუალური ზარი, როგორც დეკანის მხრიდან, ასევე პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან, ასვე ასწავლო პროცესის მენეჯერის მხრრიდან. 6. არაერთ ლექტორს დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან კოორდინაციით როგორც უშუალოდ მათი მხრიდან ასევე ტექნიკური სამსახურის მხრიდან გაეწია ტექნიკური მხარდაჭერა და კონსულტაციები. 7. მონიტორინგის შედეგად მოხდა იდენტიფიცირება იმ ლექტორებისა რომელთაც არ ქონდათ მუდლის პლათფორმა გამართული,რის გამოც დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელების და ინოვაციური სწავლების ცენტრის კოორდინაციით მხრიდან მოხდა გადამზადება ტრენინგის სახით. 8. ჩატარდა არაერთი გაერთიანებული შეხვედრა საგამოცდო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ტოპ მენეჯმენტთან, სადაც წარდგენილი იყო სტუდენტების და ლექტორების მიერ წამოჭრილი პრობლემების	

			შესახებ ინფორმაცია, რომელიც ფაკულტეტის და სხვა სამსახურების კოორდინირებული მუშაობით იქნა აკუმულირეული. 9. ასევე გაეგზავნათ ტუტორიალები ყველა ლექტორს (არაერთხელ და არაერთი) მუდლის პლათფორმის რესურსების მაქსიმალურად ათვისების მიზნით. 10. დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელთან და თანამშრომლებთან ერთად მოეწყო არაერთი შეხვედრა ფაკულტეტის ყველა პროგრამის სტუდენტებთან. 11. ასევე ინდივიდუალურად მოხდა კონსულტაციის გაწევა სტუდენტებისთვის, როგორც დეკანის, ასევე პროგრამის ხელმძღვანელების, სასწავლო პროცესის მენეჯერების, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მხრიდან. 12. ასევე აღსანიშნავია რომ, მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული სტუდენტების მიერ დაფიქსირებული პრობლემები. განსაკუთრებით ტექნიკური აღჭურვილობის არ ქონასთან დაკავშირებით.	

ელექტრონული სწავლებით კმაყოფილება-სტუდენტები (მედიცინის ფაკულტეტი)	2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრი	1. სტუდენტებს არა აქვთ მუდმივი წვდომა ინტერნეტზე, რომ ონლაინ ლექციებს დაესწრონ. 2. სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა ლექციების დროში გადაფარვები.	1. ხდება ყველა ლექცია/ონლაინ დისკუსიის ჩაწერა და მუდლზე ატვირთვა, რათა სტუდენტმა მოახერხოს ნებისმიერ დროს სასწავლო რესურსის ნახვა. გარდა ამისა, შესაძლებლობა აქვთ კითხვები მიწერონ ლექტორს მუდლის საშუალებით ოფლაინ რეჟიმში. 2. იმის გამო, რომ გაზაფხულის სემესტრის ცხრილი, რომლითაც სტუდენტებმა რეგისტრაცია გაიარეს სემესტრის დაწყებამდე მთლიანად შეიცვალა დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის გამო, კონკრეტულ საგნებზე მოხდა გადაფარვები გარკვეული რაოდენობის სტუდენტებისთვის. თითოეული სტუდენტის პრობლემის განხილვა და დახმარების აღმოჩენა მოხდა სასწავლო პროცესის მენეჯერების მიერ ინდივიდუალურად. ამ ეტაპზე ასეთი შემთხვევების უმეტესობა მოწესრიგებულია.	ფაკულტეტის დეკანი

შეფასების შედეგად გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებზე მომავალშიც დაგეგმილია რეაგირებების მიზნით სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან გარკვეული ნაბიჯები. განსაზღვრულია მათი შესრულების ვადებიც. დეტალებისთვის იხ. დანართი #20 - შეფასების შედეგებზე რეაგირების ანალიზი.